მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N3 (9255) 31 იანვარი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

ტოლეზის თემი ინფრასტრუქტურულ სამუშაოთა პროცესში

2

ამჟამიდან საგზაბიჯთ ვრცელქტები სამგზეულოთითვის

3

ჯილოზე მუცად სასიამოვნო – თანაქალაქელების მადლობა!

“ფიგნიერება აუცილებელია, ყველას რომ გაგვიტაგლეს და ფინ ფაკილეს”

5

7

ნოემბერში შესრულებული ჯაჭის სამოვეთესო რეაბილიტაციის

რით ვყაშვეულოთ ჭირს, ჩვენ რომ გვჭირს?

4

პირველად სამტრედიის მიავადჩოლოის სამედიცინო ცენტრში

“ჯეოჰოსპიტალსის” გუნდის კიდევ ერთი გამარჯვება

ტოლების თემი ინფრასტრუქტურულ სამუშაოთა პროცესში

თეა ბაბუნაშვილი

ტოლების თემში, სოფელ ქორეისუბანში მისასვლელი გზა სულ მალე აღარ იქნება ისე მიუვალი, როგორც აქამდე. მიუვალი რა, წვიმის შემდეგ ძალიან ატალახებულის ნახვა მოუწიათ ჟურნალისტებს. რამდენიმე იქაურმა მკვიდრმა, შემთხვევით სწორედ იმ დროს რომ იმყოფებოდნენ იქ, როცა მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია, საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად ჩავიდნენ სოფელში, აღნიშნეს, რომ "ამ გზით წლებია ვსარგებლობთ. ამდენად გაფუჭებული არ ყოფილა, პირიქით, მოასფალტებული იყო. ავტობანის მშენებლობისას მასზე სატვირთო მანქანების მოძრაობამ გააფუჭა ძალიან." გზის მოხრეშვა-მოშანდაგების სამუშაოები ადგილობრივი ძალებით მიმდინარეობს. ბუნებრივია, ეს საწყისი ეტაპია შემდგომი სამუშაოებისა, რომლითაც გზა დასრულებულ იერსახეს მიიღებს. სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია უპირველესი პრობლემა გახლდათ ქორეისუბნისთვის. როგორც ტოლების დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ილია მჟავია აღნიშნავს, "ამ გზის რეაბილიტაციით სოფელს მთელი რიგი პრობლემები მოეხსნება. ეს უპირველესად აქაურების მოთხოვნა გახლდათ და პირველივე შესაძლებლობისას ვახორციელებთ." სამუშაო პროცესი სტუმრობის დროსაც მიმდინარეობდა, გრეიდერიც მუშაობდა და მუშებიც ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას.

საქმიანი სტუმრობა ტოლების თემში ამით არ დასრულებულა. მერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მდინარე ხევისწყალას მარჯვენა სანაპიროზე მიმდინარე ნაპირსამაგრი სამუშაოებიც მოინახულეს. საგზაო დეპარტამენტის მიერ შედგენილი და დაფინანსებული ეს პროექტი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სამუშაოებისა და პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დაათვალიერეს. ამ საკითხზე მოსახლეობამ არაერთხელ წერილობით მიმართა როგორც საგზაო დეპარტამენტს, ისე ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს. ჩვეულებრივ წყნარი, მაგრამ დროდადრო ადიდებული მდინარე საფრთხეს უქმნის სოფელს. ერთ დროს აქ კაშხალი ყოფილა, რომელიც წლების წინ დაანგრიეს. სწორედ ამიტომ გახლავთ ამ ადგილზე მდინარე განსაკუთრებით საშიში. "100 მეტრ მიწაზე მეტი უკვე წაიღო მდინარემ. ამ ადგილებში მოსახლეობას თხილის, ნიგვზისა და სხვა ნარგავები ჰქონდა გაშენებული. ეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც 300-400 ათასი ჯდება, ხსნაა აქაურებისთვის." _ ამბობს ილია მჟავია. მუნიციპალიტეტის მერი კი ხაზს უსვამს, რომ: "მე ექსპერტი არ ვარ და სათანადოდ ვერ შევამოწმებ მიმდინარე სამუშაოების ხარისხს, ამაზე სპეციალისტები ისაუბრებენ თავის დროზე. თუმცა, ყველაზე კარგი ექსპერტი თავად მდინარე იქნება. ვიმედოვნებ, სამუშაოები მიმდინარეობს ისე, რომ მრავალი წლის განმავლობაში გაუძლოს მდინარის შემოტევას. ერთი შეხედვით ყველაფერი ნორმალურად ჩანს. რაც მთავარია, რამდენიმე წლის მოთხოვნა მოსახლეობის გაბიონების მოწყობის თაობაზე უკვე დაწყებულია. "სამუშაო 800 მეტრიან მონაკვეთს მოიცავს. რიყის ქვებით შეკრული პირველი იარუსი უკვე მზადაა. მას კიდევ ორი წყება დაემატება. მუნიციპალიტეტის მერისა არ იყოს, სამუშაოებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება, პირველ გამოცდას თავად მდინარე ხევისწყალა მოუწყობს.

ამერიკული საგრანტო პროექტები სამტრედიელებისთვის

ნათია ნაცვლიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "ZEITER-IMERETI" 2017 წელს ჩამოყალიბდა. მან დადო კონტრაქტი ამერიკულ ორგანიზაციასთან, რომლის მიზანია საგრანტო განაცხადების მიღება საქართველოს მასშტაბით, დარგების და მიმართულებების მიხედვით კონტრაქტის საფუძველზე. განაცხადების მიღების შემდეგ შედგება ერთი მთლიანი დარგობრივი პროექტი, მაგალითად, (მეფუტკრეობა, მესაქონლეობა, ტურიზმი და ა.შ.) მათი წარდგენა მოხდება დონორებთან. მოწონების და დაინტერესების შემთხვევაში დაფინანსდება ზემოთ აღნიშნული განაცხადები (შემდგომ პროექტები). ამერიკელი პარტნიორები საქართველოს ფარგლებში "ZEITER-IMERETI-სთან" ერთად ახორციელებენ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს გაძლიერებას. პროგრამის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქართველოში სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, განათლების, სპორტის და კულტურის განვითარებას. გაიცემა გრანტები დამწყები და მოქმედი ბიზნესისათვის, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სხვა დარგებში. თანხის რაოდენობა შეზღუდულია, მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 ათას დოლარს. იგულისხმება ამ ღირებულების მოწყობილობების დაფინანსება. გრანტი გაიცემა ინოვაციებისთვისაც. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში "ZEITER-IMERETI-ის" წარმომადგენელმა თენგიზ ახობაძემ აღნიშნა, რომ "ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია, დაეხმაროს ქართველ ხალხს სამუშაო ადგილების შექმნაში, თვითდასაქმებაში, შემოსავლის წყაროს მოძიებასა და არსებული შემოსავლის გაზრდაში. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს სურვილი, ისარგებლოს ზემოთ აღნიშნული სიკეთით, შეუძლია მიმართოს "ZEITER-IMERETI-ის" წარმომადგენლებს სამტრედიაში, თენგიზ ახობაძესა და ლევან მეფარიშვილს. "ZEITER-IMERETI-ის" სამტრედიის კოორდინატორები იმყოფებიან პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრის სამტრედიის განყოფილებაში (მუნიციპალიტეტის შენობა, მეორე სართული). მსურველებს შეუძლიათ შეავსონ განაცხადის ფორმა, სადაც მითითებული იქნება პროექტის სახელწოდება და აღწერილი იქნება საქმიანობა, რისთვისაც მოქალაქე დაფინანსებას ითხოვს. იგი კონფიდენციალურობის დაცვით გადაეგზავნება ამერიკულ მხარეს, რომელიც თავადვე დაუკავშირდება საპროექტო განაცხადის ავტორს და აღნიშნულ განაცხადთან დაკავშირებით მის გადაწყვეტილებას გააცნობს. დამატებითი ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კომპანია ორგანიზაციის ფეისბუკ გვერდზე "ZEITER-IMERETI" მალე სამტრედიას თავად ეწვევიან ორგანიზაციის წარმომადგენლები და გაესაუბრებიან სამტრედიელ მოქალაქეებს იმ სიკეთეების შესახებ, რაც ჩვენთვის შეუძლიათ გააკეთონ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი

სამტრედიის რაიონული სამმართველო

სამტრედიის რაიონული სამმართველოს მიერ იძებნება, როგორც უგზოუკვლოდ დაკარგული პირი სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგორზღვაში მცხოვრები, 10.05.1979 წელს დაბადებული ასლან ფარსადანის ძე ტონია, რომელიც 2017 წლის 11 ნოემბერს გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა.

მისი აღწერილობაა:

სიმაღლე _ 170 სმ, საშუალო აღნაგობის, წაბლისფერი თმები, მუქი ყავისფერი თვალები, სწორი ცხვირი და რკალისებრი ხშირი წარბები. ტანთ ეცვა შავი ფერის სპორტული შარვალი, მარცხენა მხარეს წარწერით "ადიდასი". შავი ფერის სპორტული ჟაკეტი და რეზინის მუქი ფერის ჩექმები.

ასლან ტონიას მიმართ რაიმე ინფორმაციის გაგების შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 577 93 62 94 და 577 52 66 23.

ალექსანდრე გვენეტაძე

სამტრედიის რაიონული სამმართველოს უფროსის ინსპექტორების განყოფილების უფროსი პოლიციის მაიორი

ჯილდოზე მუცარ სასიამოვნო – თანაქალაქეების მადლობა!

თეა ბაბუნაშვილი

ტრადიცია არც წელს დარღვეულა. განსაკუთრებული მადლობა განსაკუთრებულად უთხრა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ და ინტელიგენციამ, უბრალოდ, მოელმა სამტრედიამ იმ ადამიანებს, სპორტსმენებს, საქართველოს რომ გააცილეს მშობლიური სამტრედიის სახელი, ღირსეული წარმატებები შეჰმატეს ქვეყანას და ამ პატარა ქალაქს.

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე ხაზს უსვამს, რომ "ჩვენი სამსახურის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერის, ვალერი ფოცხვერიას ხელშეწყობით მოწყობილი ეს ღონისძიება მართლაც დაიმსახურეს იმ ადამიანებმა, დღეს აქ რომ გახლდნენ წარმოდგენილნი. ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოვეთ გამორჩეული მიღწევების მქონე 10 სპორტსმენი და მათი მწვრთნელები. საბედნიეროდ, ბევრი იყო სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული, მაგრამ მერიაში შექმნილმა კომპეტენტურმა კომისიამ ამჯერად აქცენტი იმათზე შეაჩერა, ვინც ევროპის და სხვა საერთაშორისო შეხვედრებში ასახელა სამტრედია და ქვეყანა."

ღონისძიება კულტურის სამსახურის სპეციალისტს სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში, ეკა კეკაჩეიშვილს მიჰყავდა, რომელმაც შეკრებილებს თითოეული სპორტსმენის მიღწევები გააცნო. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ "როგორც მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე წელია, ჩვენს ქალაქში ტრადიციად იქცა წარჩინებულ სპორტსმენთა დაჯილდოვება. ამ მხრივ არც ეს წელი გახლავთ გამონაკლისი. სპეციალური კომისიის მიერ შეირჩა ის სპორტსმენები და მწვრთნელები, თავიანთი შედეგებით მსოფლიოსა და ევროპის სხვადასხვა ტურნირებზე რომ ასახელეს როგორც ჩვენი ქალაქი, ისე სრულიად საქართველო."

თუმცა, თავიდან, მანამ, სანამ ჯერ კიდევ პირველივე სიტყვებს იტყოდნენ, დარბაზი ფეხზე წამოუდგა ნიჭიერი სამტრედიელის, სამშობლოს პატრიოტის, როლეზ გოგიშვილის ხსოვნას.

და მერე ძირითადი ნაწილი ღონისძიებისა _ დაჯილდოვდნენ: წარმატებული კალათბურთელი, ევროპის ჩემპიონი ვიქტორია გეგეშიძე და მისი მწვრთნელი, თამაზ ხაფავა; კიოკუშინკაი კარატეში სომხეთის თასის მფლობელი, საერთაშორისო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის მეორე ადგილის პრიზიორი მანანა მუქერია, აგრეთვე, სომხეთის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ოთხგზის ევროპის ჩემპიონი, "საუკეთესო მებრძოლი ქალის" ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო ოსტატი კიოკუშინკაი კარატეში, შავი ქამრის მფლობელი, წოდებით "სემპაი", თამარ ბაბილეიშვილი. მათთან ერთად, ბუნებრივია, მათი მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კლასის ოსტატი კიოკუშინკაი კარატეში, შავი ქამრის მეოთხე დანის მფლობელი, საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, სენსეი მიხეილ ქანთარია. ჯილდო დამსახურებულად ხვდა წილად თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს, ედემ ბოლქვაძესა და მის მწვრთნელს, ბიძინა მელაშვილს; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულ, წლევანდელ ევროპის პრიზიორ გოგა გოგიბერაშვილსა და მის მწვრთნელ მამუკა სტურუას; მრავალგზის საერთაშორისო ტურნირებისა და საქართველოს ჩემპიონატების გამარჯვებულ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წლევანდელ პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში ივერი ჯულაყიძესა და მის მწვრთნელ ვეფხია სტურუას.

დღის კულმინაციად მონათლა წამყვანმა წლის საუკეთესო სპორტსმენისა და მწვრთნელის დაჯილდოვება. ისინი კი, კომისიის გადაწყვეტილებით, მრავალგზის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, ტოკიოსა და ბაქოს გრანდსლემის, თბილისის გრან-პრის, ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორის ტიტულის მქონე უშანგი მარგიანი და მისი მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძეა. მას წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მიენიჭა.

განსაკუთრებით გაამხიარულა დარბაზი ორი ღვაწლმოსილი ხელოვანის, მზია ჩიხლაძისა და გიორგი კეშელავას დაჯილდოვებამ. მათ ამჯერად სამტრედიაში უთხრეს მადლობა და მოეფერნენ ცოტა ხნის წინ, კათარზისის მიერ მოწყობილ ხანდაზმულთა კონკურსში მიღწეული წარმატებისთვის. ისინი მუნიციპალიტეტის მერიამ ფულადი ჯილდოთი დააჯილდოვა.

შეხვედრაზე, რომელზეც ჯილდოზე მეტად სასიამოვნო თანაქალაქეების კეთილგანწყობა და გულწრფელი მადლობა იყო, დაჯილდოვებულებს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის მერი ვალერი ფოცხვერია და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია. დაჯილდოვებისას მწვრთნელები იმ საჭირბოროტო საკითხებს შეეხნენ, რაც მათ წინაშე დგას. ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა, რომ მათი მთავარი მოთხოვნის, სამტრედიაში სპორტის სასახლის აშენების ირგვლივ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მრავალფეროვანმა მენიუმ ბაგა-ბაღებში დღის რეჟიმი შეცვალა

ნინო ნანიტაშვილი

30 იანვარს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში თათბირი შედგა. დირექტორის, ხათუნა გაგუას კაბინეტში ბაგა-ბაღების მედ-პერსონალი იყო მიწვეული. თათბირზე განიხილეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ახალი მენიუ, ნორმები, ახალი დღის რეჟიმი.

ხათუნა გაგუამ ბაგა-ბაღების მედპერსონალს გადასცა პროდუქტების ახალი ნორმები, საკვების მომზადების ტექნიკური რუკა. გაერთიანების დირექტორმა ექთნებს დავალება მისცა, ის თანხა, რაც ადგილობრივმა მერიამ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების კვებაში ჩადო, უკლებლივ და ხარისხიანად მიეწოდოს აღსაზრდელებს, აგრეთვე გააფრთხილა, დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ყურადღება მიაქციონ როგორც ბავშვების, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხს.

ხათუნა გაგუა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "შემთხვევით არ გამიმახვილებია ყურადღება თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმ ვირუსების გააქტიურებას, რაც წელიწადის ამ დროისათვის არის დამახასიათებელი. ავად ხდებიან უფროსებიც, პედაგოგებიც, აღმზრდელები, ექთნებიც და შემდეგ ისინი არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების საქმეში. თუკი პატარებს უარს ვეუბნებით და მათ არ ვღებულობთ, ავადმყოფობის შემთხვევაში უარი უნდა ეთქვას თანამშრომლებსაც".

თათბირზე გამახვილდა ყურადღება ჯანმრთელობის ცნობებზე, რაც ძირითადად განპირობებული იყო თბილისში, რამდენიმე საბავშვო ბაღში აღმოჩენილი ტუბერკულოზის შემთხვევაზე. აქედან გამომდინარე, ქსელში მომუშავე თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ შეხებაში არიან აღსაზრდელებთან, მოეთხოვებათ, წელიწადში ორჯერ სამედიცინო შემოწმება გაიარონ და შესაბამისი ცნობა წარმოადგინონ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში.

"ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას ვაწარმოებთ "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრთან, კერძოდ, ამბულატორიის ხელმძღვანელთან, ქალბატონ ლუარა კახიანთან და ბატონ ფრიდონ მაკარაძესთან. მათთან ჩვენი თანამშრომლები გაივლიან სამედიცინო შემოწმებას". _ აღნიშნული სიახლის შესახებ "სამტრედიის მაცნესთან" განაცხადა ხათუნა გაგუამ.

დავუბრუნდეთ მენიუს თემას, მენიუს მრავალფეროვნებამ გამოიწვია საბავშვო დაწესებულებებში დღის რეჟიმის შეცვლა. ეს შეეხო არა მარტო კვებას, ასევე _ საალმზრდელო პროცესს. "სამტრედიის მაცნემ" თათბირის ბოლოს კომენტარი სთხოვა ქალაქის მე-11 ბაგა-ბაღის ექთანს. თამილა ნიკურაძის შეფასებით ბაგა-ბაღებში მენიუს მრავალფეროვნებით ექთნებს საქმე მოემატათ: "ჩემი კოლეგები დავიტვირთეთ ორმაგად და სამმაგად, რადგან ჩვენ არა მარტო ექთნის, არამედ მნეს მოვალეობასაც ვასრულებთ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ბავშვთა როგორც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, მიღებული პროდუქტების ხარისხიანობასა და მიღება-ჩაბარებაზე, ასევე, დამზადებული საკვების ხარისხიანობაზე. ამ სირთულეებს ჩვენ ყოველდღიურად წავაწყდებით. ამიტომაც არის აუცილებელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მნეების შტატების დამატება, რათა ჩვენ დაგვიბრუნდეს ჩვენი პირველადი ფუნქცია".

8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!
მეფე ქართველთა, აფხაზთა, ჰანთა...

...შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან არა-რას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა და ძაგება არა წმიდათა და უწესოთა საქმეთა, რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერ ზეცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად, რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება".

დავითის მეისტორიის ეს სიტყვები სრულად წარმოაჩენენ დავითის პიროვნების სიდიადეს, ძალმოსილებას, მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყოფის ნათელ სურათს.

დავით აღმაშენებელმა ზურგი შეაქცია მამის ფრთხილ პოლიტიკას, მან კარგად უწყოდა, რომ გარეშე მტერზე ასკერძ საშიში შინაური მტერი იყო და დაუზოგავად დაიწყო ბრძოლა უღირსთა წინააღმდეგ. საუბედუროდ, თვით ეკლესია მფარველობდა ურჩ ფეოდალებს, თვით ეკლესიიდან მოდიოდა ყოველი უსჯულოება, მღვდელმთავრებად ისხდნენ უღირსნი, ადამიანთა სულის მკურნალნი თვით გამხდარიყვნენ სამკურნალო... ეკლესიას უნდა დაპატრონებოდნენ "ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი".

დაეპატრონენ კიდეც, ოღონდ დავითის ბრძნული, დროული პოლიტიკური ნაბიჯის შემდეგ.

განუზომელია ღვაწლი, დავით აღმაშენებელმა რომ გაიღო საქართველოსა და ქართველი ერისათვის. მარადის ომები, ხმალჩაუგები ბრძოლები გარეშე თუ შინაურ მტრებთან, ორგულთან, მოქიშპე ერისთავთა, ურჩ ფეოდალთა დამორჩილება. ციხე-ქალაქთა, დაბა-სოფელთა, ეკლესია-მონასტერთა შენება და გამშვენება. ზრუნვა ახალგაზრდებზე, მეცნიერებაზე, მწერალ-გადამწერებზე, კულტურის მოამაგეებზე...

ქართულმა ეკლესიამ აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა. მისი სახელს ახსენებენ ეკლესიაში ლოცვის დროს, უსისხლო შეწირვის ჟამს. ეს დიდი ჯილდო მან მიიღო ერისგან და ასევე ღვთისგან. იგი იყო საქართველოს "ღვთის მსახური" მეფე. საერო ცხოვრებაში შეუბღალავი, სარწმუნოებასა და ეკლესიაზე მზრუნველი, ქველმოქმედი, ღრმა შემწყნარებელი...

აღმაშენებელი უწოდა ერმა, მანამ არნახული ზედწოდება.

...

"ოდეს ზარი მეფობისაი წარხდეს
და დიადებაი დაშრტეს,
ვნებანი უქმ იქმნენ.
ყვავილოვნებაი დაჭნეს,
სხვამან მიიღოს სკიპტრაი,
სხვასა შეუდგნენ სპანი,
მაშინ შემიწყალენ მსაჯულო ჩემო".

საოცრებაა, არც ერთ მეფეს არ წარმოუთქვამს ალბათ მსგავსი სიტყვები.

საუკუნეები გვაშორებენ დავითის ეპოქასთან, თუმცა რაც დრო გადის, აღმაშენებლის მეფური შორსმჭვრეტელობა, წინდახედულობა, სტრატეგიული, ეროვნული აზროვნება მეტ ელვარებას იძენს.

8 თებერვალს დავით აღმაშენებელს იხსენებს საქართველო.

ლევან გაბეჩავა

საქართველოსათვის მლოცველთა გუნდს ჩოხოსნებიც შეუერთდებიან

სვეტიცხოვლის ტაძარში ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები. ლოცვა შობის მარხვის პერიოდში დაიწყო და გრძელდება. საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის ორგანიზაციის წევრი, კობა ძიძიგური უკვე ოჯახთან ერთად დაესწრო ლოცვას. სამტრედიელი ჩოხოსნები 6 თებერვალს დაესწრებიან სვეტიცხოველში გამართულ ღვთისმსახურებას, წაიკითხავენ ლოცვებსა და ფსალმუნებს და საქართველოსთვის მლოცველთა გუნდს შეუერთდებიან.

ნათია ნაცვლიშვილი

რით ვაშველოთ ჭირს, ჩვენ რომ გვჭირს?

ლევან გაბეჩავა

ფრაზა ნასესხებია "იუმორინადან", თუმცა, ამჯერად, სახალისოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე საქართველოში.

ყოველ დილით საინფორმაციო საშუალებები ამაზრზენ ინფორმაციებს გვაწვდიან მკვლელობათა შესახებ. ქმარი ცოლს, ცოლი ქმარს, შვილი-მშობელს, ამხანაგი ამხანაგს... უმოწყალოდ უსწორდება.

დუმილი ამჯერად სულაც არაა ოქრო.

რამ გაგვაგიჟა...
რამ დაგვისუსტა ნევრები ასე...
რატომ შევიძულეთ მოყვასი?..
ბოღმა, შურღლი, ღვარძლი...
მკვლელობები!!!

ორი აზრი არ არსებობს, რომ ადამიანის აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს, ჰუმანიზმის, სიკეთის, ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით. სკოლამდელ დაწესებულებებში, საჯარო სკოლებში, კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაძლიერდეს (შეიქმნას) ფსიქოლოგთა ინსტიტუტი. ცხადზე ცხადია, რომ ყოველწუთიერად მზარდმა ინფორმაციულობამ ადამიანთა არცთუ მცირე ნაწილზე უარყოფითად იმოქმედა და შედეგიც სახეზეა.

თავისთავად მეტი სიფხიზლე, მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სამართალდამცავმა ორგანოებმა, ვერაფერი შეღავათია დაღუპულთა და მათი ჭირისუფლებისთვის უმძიმესი დანაშაულის თუნდაც უსწრაფესი გახსნაც კი, თუმცა, არც მძიმე დანაშაულთა გახსნითა ვართ განებივრებულები ქართველები.

გიყვარდეთ მოყვასიო, გვმოძღვრავს უფალი.

ურთიერთსიყვარულისა და კეთილგონიერებისაკენ მოგვიწოდებს მისი უწმინდესობა, პატრიარქი სრულიად საქართველოსი...

მაგრამ ამაოდ...

არც უფლის გვესმის და არც პატრიარქისა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ უმძიმესმა დანაშაულებებმა აშკარად იმატა ახალგაზრდებში, მოზარდებში, მოსწავლეებში, რაც მოუთმენელია.

ფრაზის ტრაფარეტულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მართლაც არა ჰყავს საქართველოს მომძის ხელით სასიკვდილოდ გასაწირავი შვილები.

ყველგან, ყოველთვის ძვირფასია, ძვირფასი უნდა იყოს და ხელშეუხებელი ადამიანის სიცოცხლე.

და მაინც, საკვირველია ერთი გარემოება, როცა მძიმე სტატისტიკაზე თუ ცალკეულ შემთხვევებზეა საუბარი, ყველანი, მათ შორის ისინიც კი, რომელთაც უშუალოდ ევალებათ კონტროლი მსგავსი ქმედებების აღკვეთაზე, გაიძახიან, მეტია გასაკეთებელიო, ასე და ასე უნდა მოვიქცეთო, მაგრამ რაც დრო გადის, დანაშაულს დანაშაული ემატება.

ერთი პატივცემული ავტორი წერდა ამას წინათ ცენტრალურ პრესაში _ გასული საუკუნის 90-იან წლებში ხომ არ ვბრუნდებითო, ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ...

დაბოლოს, სამწუხაროდ, დადგა დრო არათუ ფიქრის, განსჯისა საიმისოდ, რომ ერთიანი ძალით ვებრძოლოთ ჭირს, ჩვენ (ქართველობას) რომ გვჭირს.

45 წელი რკინიგზის ტრანსპორტზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს რკინიგზა არის ერთ-ერთი ორგანიზებული და წარმატებული უწყება. სამტრედიის სავაგონო დეპოს გარკვეული წვლილი შეაქვს რკინიგზის საერთო მუშაობაში. დეპოს საქმიანობის მასშტაბები დიდია და რთული. ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს, რომ ერთიან სისტემაში ან დიდი რგოლია, ან პატარა. ამდენად, საქმისადმი მათ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ისიც გაცნობიერებული აქვთ, რომ ერთის მიერ დაშვებული ხარვეზი სხვების საქმიანობაზეც აისახება და საბოლოო ჯამში დეპოს შეუქმნის პრობლემას. ეს რომ არ მოხდეს, დეპოს კოლექტივის ყველა წევრი იბრძვის შედეგების მისაღწევად. ყველა კოორდინირებულად, ურთიერთშეთანხმებულად საქმიანობს. სავაგონო დეპოს ზეინკალი კოტე მარჯანიშვილი 45 წელია აქ შრომობს.

სამტრედიის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მეზობლის, სავაგონო დეპოს ოსტატის, ოთარ კვანტალიანის რჩევით, ის მუშაობას იწყებს დეპოს შემკეთებელ საამქროში ზეინკლად. საუკეთესო პროფესიის ერთგული ადამიანი არაჩვეულებრივად ახერხებს ერთდროულად ემსახუროს საკუთარ საქმეს და ოჯახს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შესრულებული სამუშაოების მაღალ ხარისხს _ ვაგონის მუხრუჭების კვალიფიციური შეკეთება ერთ-ერთი გარანტიაა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობისათვის. ყოველდღიურად ორი-სამი ვაგონი გამოდის კაპიტალური შეკეთებიდან. აქ ბევრი სახელმოხვეჭილი ადამიანი მუშაობას, მათგან საქმის ცოდნითა და სიყვარულით გამოირჩევა ბატონი კოტე. მისი დევიზია დაზიანებული ვაგონის დროულად შეკეთება და გაგზავნა. კარგი და "სუფთა" მუშაობისათვის კოტეს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მის გვერდით აღიზარდნენ და დაეუფლნენ პროფესიას ზეინკლები: ზურაბ ბასკანჩილაძე, ზაურ მელია, ალეკო ყლარჯეიშვილი, ბრიგადირი ვასილ სმაშნოი, ლაშა ტყეშელაშვილი, ტარიელ ჯოგლიძე და სხვები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

წარმატებებს ვუსურვებთ პროფესიაზე შეყვარებულ რკინიგზელებს.

რევაზ ფაფალავა

პირველად სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში

“ჯეოჰოსპიტალსის” გუნდის კიდევ ერთი გამარჯვება

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, დასავლეთ საქართველოში პირველად იშვიათი ოპერაციული ჩარევა განხორციელდა. ჩატარდა მხრის სახსრის ენდოპროთეზირება. ოპერაციას უძღვებოდა ტრავმატოლოგი გიორგი ფუტკარაძე. “საოპერაციო ბრიგადა დაკომპლექტებული იყო გამოცდილი მედპერსონალით: ანესთეზიოლოგი კობა ქაჯაია, უმცროსი ექიმი ლევან ჩოგოვაძე, მედდები ლია შენგელია და რიმა წულაია. პაციენტს, 74 წლის ქალბატონს ჰქონდა მიღებული საყოფაცხოვრებო ტრავმა, დიაგნოზი _ მარჯვენა მხრის ძვლის თავის ფრაგმენტოვანი მოტეხილობა შეცილებით. ოპერაციული ჩარევის გარეშე პაციენტს ექნებოდა ძლიერი ტკივილები და კიდური ფაქტობრივად დაკარგავდა ფუნქციას, რის გამოც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქირურგიული ჩარევის შესახებ”. _ “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა ჯეოჰოსპიტალსის სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციულმა დირექტორმა, ლელა ხურციძემ. მისივე ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ ეს ოპერაცია გიორგი ფუტკარაძემ უკრაინის შემდეგ საქართველოში ჩაატარა. დასავლეთ საქართველოში კი ამ ტიპის ოპერაციული ჩარევა პირველად, თანაც სამტრედიაში განხორციელდა. როგორც ექიმები ამბობენ, პაციენტის მდგომარეობა დღეისათვის დამაკმაყოფილებელია.

ვინ არის გიორგი ფუტკარაძე? მის შესახებ “სამტრედიის მაცნემ” ბიოგრაფიული ცნობები მოიპოვა, რაც საკმაოდ საინტერესოდ იკითხება: გიორგი ფუტკარაძე დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, 2012 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 2012-2015 წლებში სწავლა გააგრძელა რეზიდენტურაში უკრაინის ქალაქ სუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში ტრავმატოლოგიურ კათედრაზე. 2015 წლიდან “ჯეოჰოსპიტალსის” გუნდის წევრია. ჩატარებული აქვს არაერთი წარმატებული ოპერაცია: თანდაყოლილი ან შემდგომში შეძენილი დაავადების შედეგად დეგენერაციულად გადაგვარებული (მენჯ- ბარძაყის, მუხლის) სახსრების ენდოპროთეზირება, ტრავმის შედეგად დაზიანებული ანატომიური სახსრის დაავადების ფორმისა და ხარისხის ხელოვნურით ჩანაცვლება, ოსტეოსინთეზი. გიორგი ფუტკარაძე მუშაობს შესაბამისად ინდივიდუალურად შერჩეული ენდოპროთეზებით.

ლელა ხურციძე, “ჯეოჰოსპიტალსის” სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი: “ამ ოპერაციას, როგორც ყველა სხვა მასშტაბურ ოპერაციას, ესაჭიროება მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგების, ზოგადად, სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა, დაავადებების დიაგნოსტიკისთვის ექოსკოპიის, რენტგენის, კომპიუტერული ტომოგრაფიის ულტრათანამედროვე აპარატურა. კლინიკის მიზანია, იზრუნოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. “ჯეოჰოსპიტალსი” ყველას უსურვებს ჯანმრთელობას და სამედიცინო სფეროში მრავალ სიახლეს შემოგთავაზებთ”.

ვისაც ლიტერატურა უყვარს

“ფიგნიერება აუცილებელია, ჯვეფანა რომ განვითარდეს და წინ წავიდეს”

ნათია ნაცვლიშვილი

ქეთევან აბრამიშვილი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია, არის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში, მსოფლიოს პრიზიორი თორმეტწლამდელთა შორის. საზოგადოებრივად აქტიურ და ნიჭიერ ახალგაზრდას არაერთი საინტერესო ახალგაზრდულ პროექტში მიუღია მონაწილეობა, თავის ლიტერატურულ გემოვნებას, შეხედულებებს და მოსაზრებებს წიგნსა და წიგნიერებაზე რუბრიკაში “ვისაც ლიტერატურა უყვარს” გაგვიზიარებს.

_ **ქეთი, საკმაოდ წარმატებული საჭადრაკო კარიერა ბავშვობაში გქონდა. ამჟამად თამაშობ ჭადრაკს?**

_ ჩემი საჭადრაკო წარსული ჩემი ცხოვრების ყველაზე წარმატებული წლებია. ამჟამად აღარ ვთამაშობ ჭადრაკს პროფესიონალურ დონეზე, მონაწილეობა მივიღე სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ უნივერსიტეტის სამოყვარულო ჩემპიონატში და გოგონათა შორის პირველი ადგილი დავიკავე.

_ **იურისტობა თავისთავად გულისხმობს წიგნების წაკითხვას, მათთან მუდმივ სიახლოვეს. კანონებისა და კოდექსების სწავლის ფონზე რამდენად გრჩება დრო მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად?**

_ დიახ, იურისპრუდენცია თავის მხრივ დიდ მუშაობას მოითხოვს, თუმცა, ჯერ პირველ კურსზე ვარ და არც ისეთი რთულია ჩემთვის სწავლა, ამიტომ მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დროს ყოველთვის ვპოულობ.

_ **რამდენიმე წლის წინ ორგანიზება გაუწიე სამტრედიაში ახალგაზრდა პოეტების საღამოს, რომელი მათგანის შემოქმედება მოგწონს განსაკუთრებულად?**

_ ჩემთვის ჩემი ყველა მეგობარი საამაყოა, სამეგობრო წრე ძირითადად პოეტებისა და შემოქმედი ადამიანებისაგან შედგება. განსაკუთრებულად ვერავის გამოვარჩევ, რადგან ყველას თავისი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში და ყველას საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა აქვს.

_ **წარმატებული სტუდენტი ასევე დასაქმებული ხარ სამტრედიის 54 საოლქო-საარჩევნო კომისიაში. წიგნის წასაკითხად თავისუფალი დრო გრჩება?**

_ საარჩევნო ოლქში ჩემმა დიდმა ინტერესმა მიმიყვანა, ტრენინგების გავლის შემდეგ ამირჩიეს მოხალისედ და ორი თვის განმავლობაში კარგად ამიხსნეს და შემასწავლეს საარჩევნო სისტემა. დიდი გამოცდილება შემძინა ოლქში გატარებულმა რამდენიმე კვირამ. თავისუფალ დროს ყოველთვის ვპოულობ, მით უმეტეს, წიგნის წასაკითხად.

_ **მახსოვს, ამას წინათ წიგნის დღესთან დაკავშირებით გამართულ ვიქტორინაზე ნაწარმოებების და ავტორების გამოცნობისათვის რამდენიმე წიგნით დაგასაჩუქრეს. ვინ არიან შენი საყვარელი მწერლები და პოეტები?**

_ ბავშვობიდან ძალიან მიყვარს კითხვა, ვკითხულობდი ყველაფერს განურჩევლად ხარისხისა და ასაკობრივი შეზღუდვისა, მაქვს პერიოდები, როცა რამდენიმე წიგნს ერთდროულად ვკითხულობ, მაგალითად, ახლა ფაშაქის “სიყვარულის 40 წესი” და ჰიუგოს “კაცი, რომელიც იცინის”. იყო პერიოდი, როცა წიგნის დასასრულის კითხვა მაშინებდა, რადგანაც “შშვიდობით იარაღს” დასასრულმა სრულიად გამიცრუა იმედები. კითხვაზე, რომელია ჩემი საყვარელი მწერალი, ვერ გიპასუხებთ, შემიძლია გითხრათ, რომელია ჩემი საყვარელი ფერი, საჭმელი, ტკბილეული, მაგრამ ჩემთვის ყველა მწერალი თავის მხრივ საყვარელია და თუ რომელიმე ერთს გამოვყოფ, აუცილებლად გული დამწყდება დანარჩენებზე.

_ **ამ რამდენიმე წლის წინ მონაწილეობა მიიღე საინტერესო გადაცემაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 109 წლისთავს მიეძღვნა, როგორ დაგამახსოვრდა თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ მწერალთან, დავით მაღრაძესთან შეხვედრა?**

_ ჩემი და ბატონ დავით მაღრაძის შეხვედრა იყო შემთხვევითი, ბატონი დავითი ეძებდა ახალგაზრდას, ვინ ისაუბრებდა ილიაზე თანამედროვე რეალობაში და ბატონი ზვიად ძიძიგურის რეკომენდაციით მოვხვდი დავით მაღრაძესთან და გავხდი ილიაობის ყველაზე ახალგაზრდა სპიკერი. პირველი ჩვენი შეხვედრა “ინგლისური ჩაის სახლში” შედგა, სადაც ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ბატონი დათო უაღრესად განათლებული და ჯენტლმენი პიროვნებაა, რომელთან საუბარმაც თანამედროვეობაზე, ლიტერატურასა და მრავალ სხვა თემაზე დიდი კვალი დატოვა ჩემს ცნობიერებაზე. პირველი შეხვედრის მერე მასთან კონსულტაციები მქონდა, რომ ჩემი გამოსვლა ყოფილიყო კარგი. ამ შეხვედრების დროს ხშირად ყვებოდა მის წინაპრებზე, მოგზაურობაზე, ბოლოს სამახსოვროდ მაჩუქა თავისივე ავტოგრაფით წიგნი “უსადაურო”.

_ **სტუდენტური ცხოვრების დღის წესრიგი ითვალისწინებს საინტერესო ავტორებთან, მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებს?**

_ ჩემი სტუდენტური ცხოვრება ამჯერად შემოიფარგლება სასამართლო პროცესებზე სიარულით და შეხვედრებს ძირითადად პროკურორებთან და წარმატებულ იურისტებთან ვმართავ.

_ **შენს შემთხვევაში წიგნი ჩაანაცვლა კომპიუტერმა? კითხვას წიგნში ამჯობინებ თუ კომპიუტერის ან მობილურის ეკრანზე? რას ურჩევ პატარებს, როგორ დაიცვან ბალანსი?**

_ კომპიუტერის პასიური მომხმარებელი ვარ, რადგან მისი გამოსხივება უარყოფითად მოქმედებს და შესაბამისად მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ვიყენებ. ჩემთვის წიგნის სუნი ისევ აქტუალურია და სხვა საშუალებებში (კომპიუტერი, მობილური, პლანშეტი) კითხვა არაკომფორტულია. ჩემზე პატარებს (და არა მხოლოდ) ვურჩევ, ფსიქოლოგიურად გაითავისონ, რამდენად აუცილებელი და საჭიროა წიგნიერი მომავალი, რომ ერი განვითარდეს და წინ წავიდეს.

_ **გასულ წელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაგაჯილდოვა, როგორც შემოქმედი ახალგაზრდა. მაშინ შენი ჩანახატები წარუდგინე აუდიტორიას. ამჟამად წერ თუ არა?**

_ ვწერ ამჟამადაც, თუმცა, არა საჯაროდ გამოსატანად, რადგან, რასაც ვწერ, ჩემი ცხოვრების ნაწილია და თუ საჯაროდ წავიკითხავ, ამას ჩემი რაღაც ნაწილის დაკარგვად აღვიქვამ.

_ **ვინ შეიტანა წვლილი შენი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაში? ვინ გირჩევს, თუ რა წიგნი წაიკითხო?**

_ ამაში ბაბუაჩემს, ივერი ჯანელიძეს მიუძღვის დიდი წვლილი, თუმცა, ამჯერად საკუთარ ბიბლიოთეკას თავადვე ვარჩევ და ძალიან მიხარია, რომ არ ვცდები არჩევანში. უკვე ჩემს ასაკში წასაკითხ წიგნებზე რჩევებს არც გავცემ და არც ვიღებ, მაგრამ ჩემთვის ძალიან კომპეტენტურმა ადამიანმა ამას წინათ მირჩია, წამეკითხა “კაცი, რომელიც იცინის” და კმაყოფილიც ვარ.

_ **უკაცრიელ კუნძულზე რომელ წიგნს წაიღებდი?**

_ დოსტოევსკის “ოსტატი და მარგარიტას”, რადგან ეშმაკთან წვეულების სცენა დადებითად მოქმედებს ჩემს განწყობაზე.

_ **კლასიკოსებს ანიჭებ უპირატესობას თუ თანამედროვე ავტორებს?**

_ ძირითადად კლასიკოს მწერლებს ვკითხულობ, თუმცა, ბოლო დროს ვცდილობ, თანამედროვეობას არც ლიტერატურული თვალსაზრისით ჩამოვრჩე.

_ **საუბარი დავასრულოთ საყვარელი ფრაზით ან ციტატით რომელიმე ნაწარმოებიდან...**

_ ერთ რამეს ვწუხვარ, რომ მე არასოდეს არ მექნება დრო ყველა იმ წიგნის წასაკითხად, რომლის წაკითხვაც მინდა.

ჩემი უნივერსიტეტი

შვიდის ჭარში სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლეფან გაბეჩავა

"ქართული უნივერსიტეტი ტფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში. ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.

სტუდენტებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურსდამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი, იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ, _ ხუთი თუმანი, ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს. _ 2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის წევრნი:

ჰეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი."

წერდა გაზეთ "ერთობა" 1918 წელს ერთერთ ნომერში. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ.

8 თებერვალს, დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეს 100 წელი სრულდება საქართველოს დედა უნივერსიტეტის დაარსებიდან.

ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანი, მუხლჩაუდგამი ღვაწლი და გარჯა უძღოდა წინ ყოველივეს.

ფასდაუდებელია წვლილი, ამ ერovნული საქმის სრულყოფისათვის რომ გასწიეს ქართველ მეცნიერთა უფროსი თაობის ღირსეულმა წარმომადგენლებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ჰეტრე მელიქიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, შალვა ნუცუბიძემ, აკაკი შანიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ივანე ბერიტაშვილმა, დიმიტრი უზნაძემ, მრავალმა სხვამ.

"ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურებაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი



წვლილი შეიტანოს". _ წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი.

სრულად აღსრულდა ერისკაცის ნაბრძანები, ქართული მეცნიერული სკოლა, უნივერსიტეტი, რომელიც მისი დამაარსებლის სახელს ატარებს, ღირსეულ სიტყვას ამბობს მსოფლიო შემოქმედებაში. "იუნესკოს" მიერ უნივერსიტეტის აღიარებაც მეტყველებს ამ ფაქტზე.

"ქართული უნივერსიტეტი, როგორც მეცნიერების ტაძარი, მთელს თავის ძალებს მიუძღვნის მეცნიერული სიმართლის კვლევას".

ვკითხულობთ 1918 წლის 13 აპრილს გამართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებაში.

ამ იდეის უერთგულესი იყო და არის დღემდე უნივერსიტეტი.

არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც კი ძნელია ნახო ქალაქი, მხარე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები რომ არ მოღვაწეობდნენ.

წარმატებით მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ავტორიტეტს, საერთაშორისო ცნობადობას.

საოცრად საამაყოა, რომ უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის გასაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქს, აკაკი გაბრიელის ძე შანიძეს. სწორედ ბატონი აკაკი გახლდათ პირველი უნივერსიტეტის ისტორიაში, ვინც 1920 წელს დისერტაცია დაიცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დაუვიწყარია ღვაწლი, უნივერსიტეტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სამეცნიერო კერის განვითარებაში რომ შეიტანეს სხვადასხვა წლებში აქ მოღვაწე წარმოშობით სამტრედიელმა მეცნიერებმა.

სრულიად საქართველო უდიდესი პატივითა და სიამაყით აღნიშნავს დედა უნივერისტეტის საუკუნოვან იუბილეს, უნივერსიტეტისა, დიდი ხანია ერის ღირსებად, ერის სახედ რომ იქცა.

რუბრიკა "ჩემი უნივერსიტეტი" გრძელდება. ამჯერად სამტრედიის წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, უკვე მრავალი თაობის აღმზრდელი ნინო ტონია გვსტუმრობს. სტუდენტობის განუმეორებელ წლებს იხსენებს ქალბატონი, რომელიც თავადაა მოარული უნივერსიტეტი, თავისი განათლებით, ინტელექტით, ერუდიციით...

ქართული კულტუროლოგიური აზროვნების ისტორიაში მუდამ არსებობდა უმაღლესი სკოლის იდეა. ერის კულტურულ-ისტორიულ მეხსიერებაში დაცულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ტიპის ინსტიტუციათა არსებობის შესახებ. უნივერსალური განათლების ტრადიციის მაუწყებელია უშორეს წარსულში ფაზისის, იყალთოს, გელათის აკადემიების არსებობა.

ისტორიულმა რეგალიებმა შეაფერხეს ერის სულიერი ცხოვრება და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება. XIII-XVI საუკუნეები დაქვეითების ხანადაა ცნობილი, მომდევნო პერიოდში ხერხდება კულტურის აღორძინება და მას დიდაქტიკური იდეა წარმართავს. სწავლა-აღზრდის პრიმატით აზროვნებენ მეფე-პოეტები თეიმურაზ I, არჩილი; სახელმწიფოებრივი ძლიერების ფუნდამენტად და ხსნად განათლებას სახავენ სულხან-საბა და გურამიშვილი. სად უნდა მიეღოთ ესოდენ სრულყოფილი განათლება ანტონ I-სა და ორბელიანებს? ცხადია, სამეფო კარზე არსებობდა რესურსი უნიკალური განათლების მისაღებად. ქვეყანაში იყო ტრადიცია ინტელექტუალური მოღვაწეობისა. ამის დასტურია ვახტანგVI-ის "სწავლულ კაცთა კომისიაც".

XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა დაიწყეს ბრძოლა უნივერსიტეტის დაარსებისათვის. შედგა პეტიცია 1872 წელს თბილისში ჩამობრძანებული იმპერატორ ალექსანდრე II-ისთვის მისართმევად. თავადაზნაურთა მარშლობამ თვითნებურად შეცვალა თხოვნის შინაარსი და უნივერსიტეტის ნაცვლად იმპერატორს სამხედრო სასწავლებლის გახსნის თხოვნა წარუდგინა.

ილიას იდეალი იყო "გამეცნიერებული სარწმუნოება" და "გასარწმუნოებული მეცნიერება". ეს იდეალი ღირსეულად განახორციელა ივანე ჯავახიშვილმა სახელოვან მეცნიერებთან ერთად. შთამომავლობა ვალდებულია, მადლიერებით მოიხსენოს და საგანგებოდ შეისწავლოს ღვაწლი პეტრე მელიქიშვილისა, ივანე ბერიტაშვილისა, აკაკი შანიძისა. ალბათ, საგანგებო საუნივერსიტეტო დისციპლინის შემოღებაა სასურველი ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული შრომების შესასწავლად.

უნივერსიტეტის კედლებს ჟამიდან ჟამზე საბედისწერო ეპოქის ქარტეხილები ეკვეთებოდა. იყო რეპრესიები და მსხვერპლი, მეცნიერთა უსამართლო დევნა, თუმცა მორალური კურსი და მეცნიერული აღმავლობა განუხრელი იყო ამ უმაღლეს დაწესებულებაში.

ნიშანდობლივია 25 იანვარს (ახ. სტ. 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს უნივერსიტეტის დაფუძნება. ეს ისტორიული აქტი იყო განაცხადი პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობის, მონარქიული აკადემიზმის, ევროპული ცნობიერების, პროგრესული იდეალების ერთგულებისა.

1918 წელს უნივერსიტეტის გახსნა სხვა ეროვნულ მოვლენებთან ერთად მნიშვნელოვან პარადიგმას ქმნის: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება _ 26 მაისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ერთი წლით ადრე 1917 წელს, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

უნივერსიტეტში ამოქმედდა ეკლესია, დავით აღმაშენებლის სახელობისა. დავით აღმაშენებელი იყო თავისი დროის მსოფლიოში პროგრესული ევროპული განათლების მომხრე და დამამკვიდრებელი. დასავლურ-ევროპულ მწერლობაში გავრცელდა მეფე-ხუცეს იოანეს ლეგენდა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღმაშენებლისა და მეფე-ხუცესის იგივეობის კონცეფცია. როგორც ირკვევა, ქართველი მეფე უნიკალური განსწავლულობის გამო, ღირსსაცნობი გახდა მაშინდელი მსოფლიოს აკადემიურ სივრცეში.

ეს სულისკვეთება და ხასიათი გადასწვდა საუკუნეებს და გელათის აკადემიის სრულუფლებიან სამართალმემკვიდრედ აღორძინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

***

არიან ადამიანები, რომელთათვისაც ყოველი ცისმარე დღე უნივერსიტეტზე ფიქრით იწყება! მე ვარ უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტი არის ჩემში! ეს არის საუნივერსიტეტო აზროვნება და ჭეშმარიტ უნივერსიტეტელად მისაჩნევია ის მოქალაქე, ვისაც დღემუდამ ახსოვს ამ ეროვნული მონაპოვარის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობა, რომ ყოველი ინდივიდის საზოგადოებრივი იმიჯი უნდა ამატიანებდეს ერში უნივერსიტეტის ფუნქციონირებას. ეს აზრი და მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სკოლის დაწესებას ქვეყანაში, მის მყოფობას სახელმწიფოში.

თუ ერთხელ მაინც მოხვდება ადამიანი ამ დიდი ტაძრის კედლებში, მაშინვე იგრძნობს მის საოცარ, სასიკეთო გავლენას სულიერ განწყობილებაზე!

ჩემი პირველი შეხვედრა უნივერსიტეტთან ადრეული ბავშვობის წლებში შედგა.

არსებობს უნივერსიტეტში მცირეწლოვანი ბავშვების მიყვანის გულთბილი ტრადიცია. შემდგომაც ხშირად მივყავდით მშობლებს, ერთი ასეთი ვიზიტი უნივერსიტეტში მახსენდება 1980 წლისა. მაშინ მამა _ ბადრი ტონია _ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩიტაიას სახელობის საისტორიო საზოგადოების სამტრედიის რაიონულ ორგანიზაციას თავმჯდომარეობდა. კონფერენციები და სიმპოზიუმები უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა. მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე. მახსოვს სამეცნიერო მოხსენებები მარიამ ლორთქიფანიძისა, გურამ ლორთქიფანიძისა, ნოდარ შოშიაშვილისა, ნოდარ ასათიანისა... მაშინ უკვე იკვეთებოდა ჩემთვის მეცნიერული ამოცანები. მაინტერესებდა კვლევის მეთოდოლოგია, საცნაური ხდებოდა სამეცნიერო საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. ვთვლი, რომ ასეთი მიზნობრივი კონტაქტები უნივერსიტეტთან მნიშვნელოვნად აყალიბებს მოზარდის პროფესიულ და მოქალაქეობრივ ორიენტირებას.

1984 წელს სტუდენტად ჩავირიცხე თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1989 წელს _ ასპირანტად. ამავე ფაკულტეტის ძველი ქართული ენის სპეციალობაზე. (სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიკოსი კორნელი დანელია! სადისერტაციო თემა _ "ხოლმეობითის მწკრივები საშუალ ქართულში"...

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის რთულ და საინტერესო პერიოდს შეეხებოდა. თუმცა ჩემი შინაგანი ინტერესი უფრო ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიურ საკითხებს უკავშირდება. მიზიდავს კომპარატივისტიკა. ენათმეცნიერებასა და მეცნიერების სხვა დარგებში შედარებით _ ანალიზური მეთოდი ძალზე

კვლევის დროს ხელმისაწვდომი ყოფილიყო ძველი და ახალი ენების მონაცემები.

იმთავითვე, პირველკურსელობის ხვატით გათანგულებს, უფრო გვწამდა, ვიდრე გვესმოდა ის იდეები, რომლებსაც ასე თავდადებით გვიკითხავდნენ ჩვენი პედაგოგები.

80-იანი წლები იყო მეტად კრიტიკული და თავისებური. ინტენსიური სტუდენტური ცხოვრებით და დაძაბული ეროვნული მუხტით. უნივერსიტეტში ყველაზე მძაფრად იგრძნობოდა ანტისაბჭოური განწყობა. მეცნიერები მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად, სწორ იდეოლოგიურ საყრდენზე დამყარებულ კონცეფციებს ავითარებდნენ.

დროს თავისი უნდა მოეტანა... 1987 წელს, 27 ოქტომბერს ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოვიდა მერაბ კოსტავას მოწოდება _ მთაწმინდაზე, ილიას საიუბილეო შეხვედრის მოსაწყობად. ეს იყო პირველი ანტისაბჭოური მიტინგი საქართველოში.

1988 წელს უნივერსიტეტიდან დაიწყო დემარში საბჭოეთის წინააღმდეგ. უნივერსიტეტის კიბეებზე გაიმართა პირველი მასობრივი გამოსვლები. აქვე, ფილოლოგიის ფაკულტეტზე განისჯებოდა ტრანსკავკასიის მაგისტრალისა და დავით გარეჯის სამხედრო პოლიგონის მტკივნეული საკითხები. სადღეისოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები მაშინ სტუდენტები იყვნენ და ამ საქმეებს კაფე "სტუდენტურიდან" (I კორპუსის მოპირდაპირე მხარეს, VI კორპუსის ქვემოთ მდებარე) ხელმძღვანელობდნენ. იქ დგებოდა საგაზეთო ტექსტები, სამთავრობო მიმართვები, ხელმოწერები, მოწოდებები და დღეს უკვე ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები.

პირველი კორპუსიდან დაიწყო 9 აპრილის გამოსვლები და მსვლელობები. მოვლენების შემდგომი განვითარება საყოველთაოდ ცნობილია.

უნივერისტეტში დამამახსოვრებელი იყო ყოველი მოვლენა, ყოველი დღე, ყოველი მეცნიერული სიახლე და აღმოჩენა. სამაგალითოდ შემიძლია დავასახელო აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ცნობილი მონოგრაფიის _"ინდოევროპული ენა და ინდოევროპელების" _ გამოსვლა, რომელმაც ქართველ მკვლევარს და ქართულ ენათმეცნიერებას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

საზოგადოდ, უნივერსიტეტის ყოველდღიურობა ნიშნავდა სამეცნიერო ხასიათის შეკრებებზე დასწრებას, მონაწილეობას. განსაკუთრებით საინტერესო იყო საერთაშორისო სიმპოზიუმებზე მონაწილეობა. პირადად ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველოლოგიური, კავკასიოლოგიური, ზოგადენათმეცნიერული შინაარსის კონფერენციები; ლიტერატურული შეხვედრები 93-ე აუდიტორიაში, "პირველი სხივის" საწინდარი შეხვედრები.

უნივერსიტეტმა იცის დიდი მხარდაჭერა და დაინტერესება ადამიანის მიმართ. უდავოდ ამგვარი დიდბუნებოვნების და მზრუნველობის შედეგი იყო, რომ პირველ კურსზე სწავლის დროს პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის ინიციატივით, დეკანატმა ფაკულტეტის სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის ხელმძღვანელობა მე დამავალა. ამ საქმიანობის წყალობით მთელი სტუდენტობის მანძილზე დიდი აკადემიური და საკომუნიკაციო გამოცდილება შევიძინე, ბევრ მნიშვნელოვან ადამიანს დავუკავშირდი, რომლებიც უშუალოდ ჩვენს კურსს არ უკითხავდნენ. ასეთები ბრძანდებოდნენ: აკად. მზია ანდრონიკაშვილი, პროფ. ეკ. ოსიძე და სხვა. ყველა მათგანი მუდამ ცდილობდა, რაღაც მნიშვნელოვანი ესწავლებინა. გზა გაეკვალა სხვისთვის.

საზოგადოდ, უნივერსიტეტს ეს ძალა და მადლი ახლავს. თქვენ წარმოიდგინეთ, უფროსკურსელებიც კი ცდილობდნენ, ყოველგვარი სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილება გაეზიარებინათ. გამოცდების პროცესი წარმოედგინათ, მომდევნოები წინამორბედებს მუდამ უმადლიდნენ სესიების სირთულის გაადვილებას. უნივერსიტეტის იმანენტური ბუნებაა კეთილშობილება და შემწყნარებლობა. იქ არის საოცრად თბილი, მშობლიური, მაგრამ ამავე დროს საქმიანი და სერიოზული გარემო, სტუდენტსა და ლექტორს შორის ზომიერი ურთიერთობა; დისტანცია არასოდეს ქცეულა პირქუშ გაუცხოებად, პედაგოგისგან წახალისება კი _ ფამილარობისა და სითამამის საბაბად. მახსენდება, რომ ყველას განსაკუთრებული რიდი და კრძალვა ჰქონდა ქალბატონი მზექალა შანიძის მიმართ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მეცნიერის შვილი ბრძანდებოდა და თავადაც რესპექტაბელური _ მკაცრი, თუმცა სამართლიანი პროვენება და პედაგოგი. მასთან (ისევე როგორც მთელ უნივერსიტეტთან) ჩემი ურთიერთობა ეპოპეაა და, ვეჭვობ, რომელიმე ფურცელმა დაიტიოს, თუმცა მრავალთაგან, ერთს მაინც გავიხსენებ. ეს იყო I კორპუსში, 106-ე აუდიტორიაში, ძველი ქართული ენის (შემდგომ აკაკი შანიძის სახელობის) კათედრის გვერდით, პატარა, 15 კაციან ჯგუფს კამერულ გარემოში ქალბატონი მზექალა სპეციალურ საგნებს გვიკითხავდა. იმხანად ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსი მიჰყავდა. პრაქტიკულ მეცადინეობაზე დარგობრივი ლექსიკის განხილვისას პურეულის აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლა კახელ სტუდენტს დაავალა, მევენახეობის ლექსიკისა _ ქართლელს, თან ხუმრობით ბრძანა: ნიმუშებსაც თუ მოიტანთ, კარგი იქნება. სტუდენტებმა ენობრივ მასალასა და მოხსენებებთან ერთად შესაბამისი ნიმუშებიც წარმოადგინეს: შოთები, ნაზუქები, ჩურჩხელები... ქალბატონმა მზექალამ სემინარის შემდეგ ამ მართლაც უნიკალური პროდუქტების "დაგემოვნება" შემოგვთავაზა. ჩვენ კი აზრადაც არ მოგვდიოდა ქალბატონი მზექალას წინაშე პურობის გამართვა. ეს იყო თავისებური რიდი საკრძალველი ადამიანის წინაშე. თუმცა სითბო და მზრუნველობა ჯერ კიდევ მისაღები გამოცდიდან დაგვამახსოვრა, როცა უჩვეულოდ ხანგრძლივი, 12 საათიანი საგამოცდო პროცედურის შემდეგ, საღამოს 8 საათზე, თავად სთხოვდა გამომცდელებს, მოეტანათ ჩვენთვის რამე წასახემსებლად: ბავშვები რომ წუხდებიან, ჩემზე მოქმედებს და ვერ ვმუშაობო. თითქოს ჩვენი დანაყრება მისთვის იყო აუცილებელი.

უნივერსიტეტში ჩემი პედაგოგები ბრძანდებოდნენ ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერები: ალექსანდრე ბარამიძე, ლევან მენაბდე, ივანე იმნაიშვილი, პროკლე კეკელიძე, ალექსანდრე ალექსიძე, ელენე ბაბუნაშვილი, ზურაბ სარჯველაძე, ბაქარ გიგინეიშვილი, ლელი ბარამიძე, რევაზ სირაძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ნათელა ქუთელია, ნათელა კიკვაძე, რისმაგ გორდეზიანი.

თითოეულთან განსაკუთრებული მოგონება და გულისხმიერი დამოკიდებულება მაკავშირებს. ამ ადამიანთა დიდი ღვაწლია მრავალი თვალსაჩინო მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის აღზრდა და პროფესიონალად ჩამოყალიბება.

უნივერსიტეტში მეცნიერული შესწავლის ეგიდით გადარჩა ბიბლია, სახარების წიგნები და საერთოდ, ქრისტოლოგიური სწავლება. საბჭოთა წლებში, როცა ტაძრები მრევლისგან დაცარიელდა, უნივერსიტეტში ხმამაღლა ქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას მაღალი სასულიერო განათლების პროფესორები. ჰომილეტიკური შინაარსის იყო პროფესორი იოანე იმნაიშვილის ძველი ქართული ენის პრაქტიკული კურსი. ძველ დაწერილობასა და გრამატიკას თეოლოგიური შინაარსის განმარტებები ერთვოდა.

***

დედაო უნივერსიტეტო, მადლობა შენდა!

მადლობა სიბრძნისთვის, უშურველად რომ გვაწილადე, მადლობა სითბოსთვის, სამარადჟამოდ რომ გვისაგზლე, მადლობა რწმენისთვის, ღრმად რომ ჩაგვინერგე!

დედაო უნივერსიტეტო, მშობლურ-დედურ საწყისთან წილნაყარობა და ერში მოაზრება შენსავე ემბლემაზე წარმოჩნდება. სასიცოცხლო ძალასთან ზიარება და დაწაფება შვილის ნუკრისა, მწყურვალე ირმის ბიბლიურ სახესთან შენივთდება...

დედაო უნივერსიტეტო!

მადლობა _ შენ!

დიდება _ შენ!

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნინო ტონიას საინტერესო საუბრისათვის, კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას, მისი ოჯახის თითოეულ წევრს, რომლებიც უნივერსიტეტელები არიან, სრულიად საქართველოს დედა უნივერსიტეტის საუკუნოვან იუბილეს!

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

ეროვნული იდეებით აბჯარასხმული მოძღვარი

ნათია ნაცვლიშვილი

მამა მიქაელი (ერისკაცობაში მაჭარაძე) ჩვენი თანამოქალაქეა, მაგრამ მცხეთაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის ჯერჯერობით ერთადერთი სასულიერო პირია, რომელიც რუბრიკაში "ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში" მოვიწვიეთ. ჩვენი რესპონდენტი სხვა ახალგაზრდებთან ერთად თავად იყო ეროვნული იდეების შემომტანი ჩვენს ქალაქში. ეროვნული მოძრაობის გაძლიერება ქვეყანაში სწორედ რწმენის გაძლიერებას და ეკლესია-მონასტრების წიაღში ქართველი კაცის დაბრუნებას ნიშნავდა. მოძღვარი გულისტკივილით იხსენებს ამ მოძრაობის ცალკეულ ლიდერთა ღალატს, ძმათა ურთიერთდაპირისპირებამ ხომ საბოლოოდ ეროვნულ მოძრაობას და ჩვენს ქვეყანას ჩასცა ლახვარი.

_ **მამაო, როგორც ვიცით, თქვენ სამტრედიაში ეროვნული მოძრაობის შემომტანთა რიგებში ხართ...**

_ ეროვნული მოძრაობა სამტრედიაში გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ბევრს ჰგონია. 1980 წელს დედაქალაქში წავედი, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. მათემატიკაში რომ ვემზადებოდი, მათემატიკის ლექტორმა, სოსო პაპიაშვილმა, რომელიც მაშინდელი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა, წაგვაკითხა პირველად ბიბლია და სახარება. მასთან ერთად იყო ზაზა ლალიაშვილი. მან მითხრა, შენსავით მოაზროვნე კაცი უნდა გაგაცნო მუშთაიდის პარკშიო. ასე გავიცანი გია (გიორგი) კერვალიშვილი. ერთმანეთს ჩამოვართვეთ ხელი და ჩავები ეროვნულ მოძრაობაში 1980 წლიდან. თან გეპეიში გეოლოგიურზე ჩავაბარე, მალევე აღმოვჩნდი "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში" თამრიკო ჩხეიძესთან, გიორგი კერვალიშვილთან და სხვებთან ერთად. 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს აღნიშნავდა შევარდნაძე, ახალგაზრდებმა პროტესტი გამოვხატეთ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის წინააღმდეგ. ამ აქციაში მონაწილეობას ვიდრე მივიღებდი, წამოვედი სახლში, დედას რომ დავმშვიდობებოდი. დედა 1956 წლის 9 მარტის საპროტესტო აქციის მონაწილე გახლდათ და ვუთხარი, თუ დამიჭირეს, ან ნარკოტიკი ჩამიდეს, უთუოდ პოლიტიკური სარჩული იქნება-თქო. დედამ ცოტა ინერვიულა, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას შეეგუა.

_ **პოლიტიკურ საქმიანობას როგორ ეწეოდით?**

_ იატაკქვეშეთში ვეწეოდით ანტისაბჭოთა საქმიანობას, უშიშროება ინტენსიურად გვითვალთვალებდა. მახსოვს, სტიპენდია რომ ავიღე და რამდენიმე ჭიქა დავლიე, ჩემს თავს ვუთხარი, რისი გეშინია-მეთქი. მოვიდნენ და დამემუქრნენ, თუ არ შეეშვებით ამ საქმეს, მოგივლითო. ორი კვირა ძალიან ვინერვიულე, მერე ჩემს თავზე გავიმარჯვე, შიშს ვძლიე, 1983 წლის შემოდგომაზე მცდელობა ჰქონდათ, ე.წ. პლანის ჩადების, ერთხელ შენობიდან 13 ბიჭი გამოვედით, თორმეტი მარჯვენა მხარეს წავიდა, მე წავედი მარცხნივ, მათ ვეგონე მარტო, ხელები გადამიგრიხეს და ორ კაცს მივყავდი, მივხვდი მათი ჩაცმულობითა და შეხედულებით, რომ ორგანოს თანამშრომლები იყვნენ. მანქანაში რომ უნდა ჩავეჯინე, რაღაცნაირად მოდუნდნენ და მოვდე ალიყური და ვიყვარე, რა გინდათ, ვინა ხართ-მეთქი. ბიჭებმა ჩემი ყვირილი რომ გაიგონეს, ჩემკენ დაიძრა თორმეტივე, ისინი რომ დაინახეს, ჯიბიდან ამოიღო ერთმა წითელი მოწმობა თანამშრომლები ვართო, მერე ჩხრეკა დაიწყეს, ვუთხარი _ ხელი გაწიეთ-თქო, უნდოდათ, რაღაც ჩაედოთ, რაღაც მრგვალი გადმოუვარდათ და გაგორდა, გადავრჩი... მალე ჯარში გამიწვიეს, ჯერ უკრაინაში, შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში ვიმსახურე, წამიყვანა ანდროპოვმა და ჩამომიყვანა გორბაჩოვმა. ამ ორომტრიალს დროებით გავეცალე. 1985 წელს დავბრუნდი. 3 თვის შემდეგ ჩემთან მოვიდა სოსო ჯაჯანიძე, მითხრა, მე და შენ უნდა ვიმეგობროთო, სოსო შემდეგ ზვიად გამსახურდიას დაცვის სამსახურში იყო. ჩვენ შევქმენთ "საქართველოს დამოუკიდებლობის დასი", ეს იყო პირველი იატაკქვეშა ორგანიზაცია, მასში გაწევრიანდნენ მამუკა ვეზდენი, მამუკა მომცელიძე, გია ციციშვილი. დაარსდა "ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება," რომელსაც სოსო ჯაჯანიძე ხელმძღვანელობდა, ვბეჭდავდით პროკლამაციებს, ქსეროქსი არ იყო, საბეჭდი მანქანები კაგებეს აღრიცხვაზე ჰქონდა აყვანილი. მეგობრის მამას შევატანინეთ პოლიციაში განცხადება, რომ დაკარგა პასპორტი, იმ პასპორტით ვიყიდეთ საბეჭდი მანქანა და ვბეჭდავდით პროკლამაციებს.



_ **თქვენ ამ წლებში კონსტანტინე გამსახურდია უმცროსს დაუახლოვდით, როგორ გაიცანით ის?**

_ სიონის ეზოში ვიკრიბებოდით, 1981 წელს გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით მე, იკა წერეთელი (ასე მოვიხსენიებდით ირაკლი წერეთელს) და კოკო გამსახურდია. ირაკლი წერეთელი გიორგი კერვალიშვილმა გამაცნო. სიონის ეზოში ეს პროკლამაციები მოხუც მღვდლებს მივუტანეთ, რათა თავადაც გაცნობოდნენ და მომავალი თაობა გამოეფხიზლებინათ. ერთ-ერთმა მათგანმა იყვირა: "პოლიცია, დაიჭირეთ, პროვოკატორები არიანო, 4 პოლიციელი გამოგვეკიდა, სოლოლაკის ქუჩებს კარგად არ ვიცნობდი, წინ გიორგი კერვალიშვილი გაიქცა და გავეკიდეთ, ბოტანიკურ ბაღამდე გვსდიეს. ამ სირბილისას არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ქაშუეთის ეზოში და გადავურჩით იმ პოლიციელებს, ქაშუეთის ტაძრის ახალგაზრდა მღვდელმა რომ დაგვინახა, მოვრბოდით, რა ხდება ბიჭებო, ხომ მშვიდობა�ა, შეგვეხმიანა. ვუთხარი, აი, კიდევ მეორე კაგებეშნიკი-მეთქი და მიპასუხა, შეურაცხყოფას რატომ მაყენებთო? ეს ადამიანი აღმოჩნდა მამა ელიზბარ ოდიშვილი, რომელსაც მერე ძალიან დავუახლოვდი, მამა ელიზბარის ლოცვაკუერთხევით, 12 წლის მერე ჩავბარე სასულიერო აკადემიაში.

_ **ეროვნული მოძრაობის აქტიური ლიდერი იყავით, არასოდეს ჩამოშორებიხართ ეროვნულ ძალებს?**

_ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იატაკქვეშა ორგანიზაცია "სახალხო დემოკრატიული პარტია" დავაფუძნეთ. მერე, როცა გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა, სამტრედიაშიც ჩამომქონდა პროკლამაციები, მაგრამ მაშინ აქაურ ახალგაზრდებს კარგად არ ვიცნობდი, ვიცნობდი ჩემს სკოლელებს მხოლოდ, ციხიდან ახლად გამოსულ ჩემს მეგობარს პოლიცია მეთვალყურეობდა, მეც წვერი მქონდა მოშვებული, მე და ის ვეგონეთ ყაჩაღები, არადა, ნიცშესა და ჰეგელზე ვსაუბრობდით... ერთ მშვენიერ დღეს სამტრედიელმა, ჩემთვის უცნობმა პირმა, ზაზა ადეიშვილმა, მომაკითხა თბილისში და მითხრა: შენი დის სკოლელი ვარო. ამასთანავე, მითხრა, ზვიად ძიძიგურს სურს ზვიად გამსახურდიას გაცნობა და თქვენ უნდა ჩაერიოთო. ვიდრე კარგად არ შევისწავლიდით პიროვნებას, ვერიდებოდით უცნოებთან ურთიერთობას, ზვიად ძიძიგურს ჯერ არ ვიცნობდი, ზაზა ადეიშვილმა მერე გამაცნო ლალი თადუმაძე. მახსოვს, უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან ერთმანეთს შევხვდით მე, ლალი და ზაზა და ავედით დათო ტურაშვილის სახლში. ზაზას ვთხოვე, ორი კვირა მადროვე და ზვიადთან შეგახვედრებ-თქო. ამ პერიოდში "გეპეიში" მალხაზ გულაშვილმა, მამუკა ვეზდენმა, გოგი ლორთქიფანიძემ, სოსო ჯაჯანიძემ და თქვენმა მონა-მორჩილმა პირველი მიტინგი გავმართეთ. 1989 წლის თებერვალში მერაბ კოსტავა სცემეს კომკავშირლებმა, უნივერსიტეტმა საპროტესტო მიტინგი მოაწყო, "გეპეიშნიკმა" გეოლოგებმა დროშები დავიჭირეთ ხელში, ლოზუნგები გამოვიტანეთ და დავსხედით კიბეებზე რექტორის, გოჩა ჩოგოვაძის გადაყენების მოთხოვნით. ვაპროტესტებდით, რატომ გასცა ბრძანება რექტორატმა და გამოიყენა კომკავშირლები ეროვნული მოძრაობის ლიდერების დამრბევებად-თქო, ვაპროტესტებდით ჩვენი ლიდერების ცემის ფაქტს და ვითხოვდით კომკავშირლების დასჯას. იმხანად მერაბ კოსტავას საზოგადოება ახალი შექმნილი იყო. "გეპეიმ" სერიოზულ ძალად რომ გვაღიარა, "სადისკუსიო კლუბი" შექმნეს ჩვენს საპირწონედ, მათ აქციების ქუჩიდან კაბინეტში გადატანა სურდათ. ამ კლუბში შევიდა მაშინ გია ბარამიძე. დაწყებულ თემას მივუბრუნდები ზაზა ადეიშვილთან დაკავშირებით. სამტრედიელ ოლეგ გიორგაძეს დავეკითხე, ვინ იყო ზვიად ძიძიგური. ამ პერიოდში ზაზა მოვიდა და მითხრა, უჩვენოდ გაიცნეს ერთმანეთი ზვიად ძიძიგურმა და ზვიად გამსახურდიამ.

_ **სამტრედიის ბატალიონის წევრი იყავით?**

_ 1993 წელს შევუერთდი მათ, როგორც მოხალისე, მოხალისეთა რაზმი რომ შეიქმნა, იარაღი უჭირდათ. სასწავლო იარაღი გამოჰქონდათ, ცხინვალში შეტაკებები რომ დაიწყო, ზვიად ძიძიგურთან შეთანხმებით ვმუშაობდით. როცა დაიწყეს პრეზიდენტისაგან განდგომა, გამოყოფა, მაშინ გამოჩნდა სარიშვილი. ირინას გამოჩენას ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას ურთიერთობების გაფუჭება მოჰყვა. როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო ბატალიონი ჩამოყალიბდა, ხელმძღვანელად სოსო ჯაჯანიძე დანიშნა ზვიადმა. იგი იყო გოგი ხოშტარიას მარჯვენა ხელი, მისი თანაშემწე და დაცვის უფროსი. გოგიმ მოახერხა, სოსო ჩამოაცილა ზვიადს და თავის მხარეს გადაიყვანა, ხოშტარია საფრანგეთში რომ წავიდა, შევარდნაძეს შეხვდა და პოზიცია შეიცვალა, ერთერთი შეხვედრისას სოსოსთვის უთქვამს: სხვა გზა არ გვაქვს, შევარდნაძე უნდა ჩამოვიყვანოთო. როცა გოგის ორგულობის ამბავი გაიშიფრა, "ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების" ბიჭები წამოვიდნენ სოსოსთან ერთად. ამის მერე სოსო კვლავ პრეზიდენტ გამსახურდიას დაუბრუნდა. ზვიადმაც ის გულში ჩაიხუტა... უკვე შსს-ს მინისტრი დილარ ხაბულიანი იყო, სოსომ თავისი ბიჭებისათვის იარაღი რომ აიღო, ესენი შევიდნენ მთავრობის სასახლეში, რათა დაეცვათ პრეზიდენტი და მისი ამალა. თუ გახსოვთ მაშინ სარიშვილი ამბობდა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გამსახურდია უნდა გადავაგდოოთ. ჩემმა მეგობრებმა ორშაბათისთვის დამიბარეს. პარასკევს სახლში ჩამოვედი, დედასთან დასამშვიდობებლად და უკვე კვირა დილით მწერალი გურამ პეტრიაშვილი ტელე-ეკრანებიდან მიმართავდა პოლიტკურ ოპონენტებს: "მოგელანდები, კიტოვანოო..."

გაგრძელება იხილეთ

წუთისოფელში შესრულებული კაცის საუკეთესო როლისთვის

ერთი ლამაზი ფერი ჩაუქრა ჩემს ქალაქს

ბოლო როლი ითამაშა, საკუთარი გარდაცვალება... სცენაზე კუბო იდგა, ზღვად დამდგარი ყვავილები... და ეს არ იყო დეკორაცია, არც სპექტაკლი. მხოლოდ მსახიობი თამაშობდა უკანასკნელ როლს ფარდის საბოლოოდ დაშვების წინ. კიდევ იყო უჩვეულოდ ცივი დარბაზი და გაურღვეველი მდუმარება, ნაბიჯებით ახმაურებული. ნაბიჯების ხმა კი იყო და იყო, ბევრი იყო, რადგან ერთი ოჯახის, სანათესაოსი არ ყოფილა სატკივარი, სამტრედიას, საქართველოს რომ მოუკვდა როლეზ გოგიშვილი!

ცრემლი? რამდენიც გინდათ, გულწრფელი, სიყვარულით გულიდან წამოსული, თვალებს მიყინული და მერე მაინც დაღვრილი. ანთებული სანთლის შუქივით თრთოდა ტკივილი და ვეღარ აკავებდნენ თვალებს შეყინულ იმ ცრემლს მეგობრები, მამკაცები, ბრძოლაში, მეგობრობაში, კაცობაში ნაწრთობი, ნაერთგულარი კაცის გლოვად.

მისი მეორე ოჯახიდან, მისი ნავსაყუდელიდან, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის სცენიდან აცილებდნენ იქ, სადაც "ყველანი წავალთ, სათითაოდ გამოვიხურავთ სინათლის სარკმლებს..."

გულს მარწუხივით უჭერდა ტკივილი სიკვდილის სიცივით გაყინული.

ყველგან იყო როლეზი, სცენაზე მისთვის უჩვეულო დუმილით, სურათზე მისეული ღიმილით, მოგონებებში და სიტყვებში, უკანასკნელად რომ ეუბნებოდნენ მთრთოლვარე ხმით. თუმცა რატომ უკანასკნელად, ძნელი იქნება მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის სიკვდილით მისი დავიწყება. ხშირად ისაუბრებენ მასზე და მასთან მოგონებებში, სადღეგრძელოში.

"61 წელს თუ გადავურჩი, მერე არ მოვკვდები, ჩემი ძმაც 61-სა გარდაიცვალა"_ო, ამბობდა. 61 წლისანი წავიდნენ ძმები გოგიშვილები, როლეზ გოგიშვილს 60 შარშან შეუსრულდა.

ლამაზად ითქვა და რადგან უკეთესად ვერ ვიტყვი, გავიმეორებ _ "ერთი ლამაზი ფერი ჩაუქრა ჩემს ქალაქს", ქალაქს, თავდავიწყებით რომ უყვარდა, ჭეშმარიტი პატრიოტი გამოაკლდა ქვეყანას, ასე რომ ერთგულობდა.

წავიდა როლეზი და დარჩა ამ სცენაზე მისი როლებით დატრიალებული ქარიშხალი, ჯილდოები, საუკეთესოდ შესრულებული როლებისთვის, მის მიერ დადგმული და მისეული სუნთქვით გაჯერებული სპექტაკლები. წავიდა როლეზი და დარჩა სახელი პატივისცემით არდასავიწყებელი.

ღირს მისი სიკვდილი, რადგან ღირდა მისი სიცოცხლე, ღირს იმ გულწრფელ ცრემლად, მას რომ ზღვად გაჰყვა წუთისოფლიდან.

ბოლო როლი უჩვეულოდ ითამაშა, მდუმარებით შეასრულა საოცარი ხმის პატრონმა.



და დაეშვა ფარდა, რომლის უკანაც ტაში ისმოდა, განუწყვეტელი ტაში წუთისოფლის სცენაზე შესრულებული კაცის საუკეთესო როლისთვის.

თეა ბაბუნაშვილი

როლეზ გოგიშვილი იყო კაცი, დაბადებული უდიდეს შემოქმედად. მან სამტრედიაში მისეული თეატრი შექმნა. მისი ყველა როლი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. 20 წელია, ერთად ვხელმძღვანელობთ სამტრედიის თეატრს და ვცდილობდით იგი პროფესიულ სიმაღლეზე აგვეყვანა. ყველა მისი როლი და სპექტაკლი დასამახსოვრებელი იყო მაყურებლისთვის. განუმეორებელი, ვიმეორებ, განუმეორებელი სახე შექმნა კონტროლიორის როლის შესრულებით სპექტაკლში "მომკალ, მომკალ ჩემო კარგო". ეს კაცი იყო ერთ მუშტად შეკრული პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. ეროვნულობა გახლდათ მისი ცხოვრების ამოსავალი წერტილი. წავიდა ჩემგან და ჩემი ნაწილი წაიღო, ჩემი როლეზი აღარაა, ძნელია ამ ტკივილის კაცურად ტარება.

ვეფხია ნადირაძე
რეჟისორი, კულტურის ცენტრის დირექტორი

როცა ისეთი კაცი, როგორიც როლეზი იყო, ცხოვრებიდან მიდის, ქვეყანას რაღაც აკლდება. ერთად იმდენი რამ გადავიტანეთ, ჩამოთვლაც კი უხერხულია. უახლოესი მეგობრები გახლდით. დრესაც, როგორც ყოველთვის როლეზიმ მთელი მისი სამეგობრო გაგვაერთიანა. ეს მისთვის დამახასიათებელი თვისება გახლდათ. თუმცა, არა მხოლოდ სამეგობრო, მთელი სამტრედია აქაა დღეს და ამ ცრემლს, გულისტკივილს, ამ სევდას იმსახურებენ როლეზისნაირი კაცები, იმსახურებს როლეზ გოგიშვილი გულწრფელ დარდს მისი არყოფნის გამო.

ზვიად ძიძიგური
პარლამენტარი

გამოაკლდა ჩვენს საძმოს, სამეგობროს, ჩვენს ქალაქს და ჩვენს ქვეყანას გამორჩეული ქართველი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სამტრედიის ღირსეული შემოქმედი, საქართველოს სიყვარულით გაჟღენთილი გულით სავსე, უბადლო იუმორით გამორჩეული, კეთილი და გულთბილი, ერთგული და ღვთისნიერი ადამიანი, ჩვენი როლეზ გოგიშვილი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ძმაო, სამშობლოსთვის შეწირულ ჩვენს ძმებთან ერთად, დაუმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი შენს კეთილ სულს!

კოტა ძიძიგური
ეუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

როლეზის ვიცნობ ბავშვობიდან, სულ ერთად ვიყავით აქ, სამტრედიაში, რადგან როლეზი იყო ყველგან, ყველგან, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო ნიჭიერი ბავშვი, ნიჭიერი ახალგაზრდა. მახსოვს მისი პატრიოტი გული და შემართება, მისი ჩართულობა ეროვნულ მოძრაობაში. დიახ, იგი იყო ეროვნული კაცი და ამიტომაც დიდი დანაკლისია მისი წასვლა ამ ქვეყნიდან.

მისნაირებს უფალი ცათა სასუფეველს დაუმკვიდრებს!

გია მიქელაძე
პარლამენტარი

უპირველესად ოჯახს ვუსამძიმრებ. როლეზი, ზოგადად, ქართული ფენომენი გახლდათ. მის გარეშე არ ჩაუვლია არც ერთ მოვლენას სამტრედიის სინამდვილეში. ეროვნულობით სავსე კაცმა ეროვნულ მოძრაობაში საკუთარი სიტყვა თქვა, თუმცა საკუთარი სიტყვა ბევრგან თქვა როლეზ გოგიშვილმა, თქვა თეატრში, ადამიანობაში, მეგობრობაში. იგი მართლა ის კაცი იყო, რომელიც დაკლდა ქალაქს!

ვალერი ფილფანი
ეუნიციპალიტეტის მერი

ასე, ოცდაათი წლის წინ გავიცანი, საშუალოზე ცოტა დაბალი, რომ იტყვიან, ნაპოლეონ-სტალინის ტანადობის. დიდი ქოჩორი არც მაშინ ჰქონდა. არწივის მზერა და ლევიტანის ხმა... საოცარი, ყველასგან განსხვავებული, სახასიათო იუმორი და ქართული, ქართული, ქართული გული, გული, რომელიც დაიღალა ქართული ტკივილებით, გული, რომელმაც ვეღარ გაუძლო... როლეზი წავიდა წუთისოფლიდან, ერთი, ყველაზე ნათელი ფერი ჩაუქრა ჩემს ქალაქს...

ზაზა ალეთვილი
საკრებულოს წევრი

გარდა იმისა, რომ როლეზ გოგიშვილი ძალიან დასაფასებელი პიროვნება გახლდათ, იყო საუკეთესო მსახიობი. თუ ვინმესთვის უნდა მიგენდოთ ახალი თაობის აღზრდა, ეს ბატონი როლეზი გახლდათ. საუკეთესო მასწავლებელი და რეჟისორი, უპირველესად, თავად იყო მუდამ ახლის სწავლა-ძიებაში. გული დამწყვიტა მისმა წასვლამ, უბრალოდ ნათქვამია, იგი დიდი დანაკლისია თეატრის ყველა თაობისთვის.

ზაზა ახლოგაძე
მსახიობი

როლეზი უდიდესი ტკივილია ჩემი! დიდი ხანია ვმეგობრობთ და ამ მეგობრობას ხინჯი არასდროს შეჰპარვია. ქართულ თეატრალურ სივრცეს ჰყავს პერიფერიებში ჩაკარგული მსახიობები, არტისტები, რომლებიც ნაკლებად ჩანან, თუმცა, ნებისმიერ დიდ სცენას დაამშვენებენ. ერთი და ღირსეული მათ შორის სწორედ როლეზ გოგიშვილი გახლდათ, კაცი კაცობაში და სცენაზე გამობრძმედილი.

ზურაბ ქურავშვილი
ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრი

იმ წლებში, როცა სამტრედიაში კულტურის სამსახურის უფროსად ვმუშაობდი, როლეზ გოგიშვილმა ბრწყინვალედ ითამაშა ორი მთავარი როლი, "ყვარყვარე" "ყვარყვარე თუთაბერში" და "სისო" სპექტაკლში "ადამიანი იბადება ერთხელ". მისი წასვლით სამტრედიამ დაკარგა დიდი ხელოვანი და შესანიშნავი ადამიანი. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ბადრი ჯაშაკიძე
ქუთაისის საგანგებო მოსამართლე რესურსცენტრის
უფროსი

რაც თავი მახსოვს, მახსოვს როლეზიც. და, ალბათ, ყოველთვის მემახსოვრება იუმორით, ვაჟკაცობით, ნიჭიერებით, პატრიოტიზმით აღსავსე კაცი, კაცი, რომელმაც ისე იცხოვრა, ამდენი ცრემლი და გულისტკივილი მიჰყვება! არაა ეს ადვილი. ასე ცხოვრება მხოლოდ როლეზისნაირ კაცებს შეუძლიათ. რა თქმა უნდა, სხვაც, არაერთი, მაგრამ არასდროს დამავიწყდება როლეზის კოკა, "დარაბებს მიღმა გაზაფხულიაში" რომ ითამაშა. აკადემიური მსახიობის შესრულება იყო ეს და მოჰყვა კიდეც შესაბამისი შეფასებები. კარგი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან და გულსატკენია. დიდი დანაკარგია როლეზ გოგიშვილის გარდაცვალება სამტრედიისთვის, ჩემი თაობისთვის და საერთოდ ქვეყნისთვის.

მერაბ სტურუა
შპს. საქართველოს რკინიგზის ელექტრო
სადენტაჟი სამგორიელოს უფროსი

როლეზის უპირველესი როლი კაცობა იყო, რომელიც შესანიშნავად შეასრულა. მერეა დანარჩენი, ის დანარჩენი, პროფესიონალიზმი რომ ჰქვია. ვეფხია ნადირაძესთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, სამტრედიის თეატრალური დასი აკადემიურ თეატრს რომ დამსგავსებოდა, იმ დონეზე ასულიყო. არაფერს ვამბობ იმაზე, როგორი მეგობარი, მამა, მეუღლე გახლდათ. იმერეთის მხარეში ჩატარებულ რვავე თეატრალურ ფესტივალზე საკუთარი ნიშა, ხელწერა დაგვანახა. ბოლოს კი, მის საიუბილეო წელს, საკუთარი სპექტაკლით წარსდგა, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პერიფერიები ნამდვილ ხელოვანებს ინახავენ. ამდენ ადამიანს გულს რომ დაწყვეტ, ღირს სიცოცხლე და ღირს სიკვდილიც, მაგრამ როლეზი ადრე წავიდა. გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმას მერჩივნა მის კაცობასა და ძმობაზე სადღეგრძელოში გვესაუბრა, მაგრამ ესაა წუთისოფელი... ახლა ისღა დაგვრჩენია, მივეხმაროთ მას სამოთხეში მოსახვედრად და სადაც მართალნი განისვენებენ, იქ მოხვდეს ჩვენი ძმა.

ლევან რეზვაძე
საქართველოს იუსტიციის საგანგებო მოსამართლეთა
ორგანიზაციის თავმჯდომარე

ღმერთი ადამიანს ღვთისა და მამულის სამსახურისთვის აჩენს. ბედნიერია ის, ვინც სწორედ ასე გაივლის ამ გზას. ასე იარა და ასე წავიდა ჩვენგან კაცი, რომელსაც ახლა გულწრფელად დავტირით, ასე იცხოვრა როლეზ გოგიშვილმა. დღეს ყველა სამტრედიელი უნდა უსამძიმრებდეს ერთმანეთს, რადგან როლეზის ჭირისუფალი არ არის მარტო გოგიშვილების შესანიშნავი ოჯახი და მისი ახლო ნათესავები.

60 წლის იუბილეზე, მას რომ გადავუხადეთ, ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ მას იცნობდა სამტრედია, როგორც კარგ რეჟისორს, მსახიობს, უბადლო იუმორის პატრონს, მაგრამ იქნებ ნაკლებად იცოდნენ სამტრედიელებმა მისი როლი ეროვნულ მოძრაობაში. მას შეეძლო აერიდებია თავი, გვერდი აევლო ამ ბრძოლისთვის, მაგრამ ეს არ გააკეთა. ის დადგა იქ, სადაც მიაჩნდა, რომ უნდა მდგარიყო და იდგა ისე, როგორც ვაჟკაცს შეეფერება. მე ასაკით მასზე გაცილებით უფროსი ვარ და გული მტკივა, რომ მეცლება ირგვლივ უმცროსი მეგობრები, იძულებული ვხდები, მათ გამოსამშვიდობებელი სიტყვები ვუთხრა. მან ისე იარა, როგორც კაცს უნდა ევლო. ბოლომდე იშრომა, იბრძოლა და დაიხარჯა. მარტო მებრძოლი კაცი არ იყო როლეზი, ღვთის კაციც გახლდათ. როცა ზვიად ძიძიგურის თაოსნობით სამტრედიაში 8 წლით შეჩერებული ტაძრის აშენების ღვთიური საქმე განვაახლეთ, როლეზი ხელებდაკაპიწებული იდგა ჩვენს გვერდით. იგი ხშირად იყო ტაძარში, ვინ იცის, იქნებ ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ემზადებოდა უფალთან შესახვედრად. უფალს ვთხოვოთ ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს!

ჯერნი ნადირაძე
წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი

ჩვენ ერთი ბავშვობა გვქონდა, მერე სტუდენტობა, ერთად მოვედით დღემდე, ერთმანეთთან ის წლები გვაკავშირებდა, მთელი ცხოვრება რომ გენატრება და ვერასდროს იბრუნებ. უპირველესად მეგობარი იყო როლეზი ჩემი და მერე კოლეგა. ის გახლდათ ქარაშხალი სამტრედიის თეატრში, ის იყო მსახიობი, რომელიც ყოველთვის ახალს ქმნიდა, ყველა როლში განუმეორებელი იყო და რაც დიდი იშვიათობა და უდიდესი ნიჭია _ სანდო გახლდათ სცენაზე! ჩემი თაობა ბოლომდე ვერ დაიხარჯა და ეს არა ამ თაობის, არამედ დროის და უკვე ჩავლილი მოვლენების ბრალია. ამიტომ როლეზიმაც ვერ ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები, მას გაცილებით მეტი შეეძლო! ბოლო როლი "დონ ჟუანში" ითამაშა. როლიდან გამომდინარე ფრაზის _ "რატომ არ მოვკვდები" გამეორება ხშირად უწევდა. ერთგან კი უნდა ეთქვა _ "მე უკვე მოვკვდი". რეპეტიციებზე ამ ფრაზის თქმა ავიწყდებოდა და ვახსენებდით _ თქვი, ბიჭო, მე უკვე მოვკვდი! დღეს ეს სიმბოლურია თითქოს. ამ ჩვენს გაყინულ სცენას, ყველა ერთად რომ ვათბობდით, მიზიდულობის უდიდესი ძალა აქვს. ეს ძალა ჩვენში ჩვენმა პედაგოგმა, დავით ტაბიძემ განამტკიცა. ყველა ჩვენგანს ჰგონია, რომ დედამიწა ამ სცენის ირგვლივ ტრიალებს. ამიტომ შერჩა როლეზიც ამ პატარა სცენას, თორემ გაცილებით მეტი გასაქანი ჰქონდა.

წავიდა ჩემი როლეზი, ჩვენი როლეზი და ყველაზე წრფელი სიყვარული წაიღო, გულის ნაწილი წაიღო ჩემი.

ლერიტა ჯორჯიკია
მსახიობი

45 წელია ერთად მოვდივართ. ერთი სოფლიდან ვართ, ბავშვობის მეგობრები, მეზობლები ვიყავით. ჩვენი თაობიდან მარტო მე დავრჩი თეატრში, ამიტომ გამიჭირდება ამიერიდან იქ შესვლა, უმისოდ სცენაზე დგომა. სოფლის სასაფლაოზე, ჩვენი წინაპრების საფლავებს, ანუ ჩვენს საფლავებს შორის ოციოდე ნაბიჯია დაშორება. "აქ გული გამიხმო და იქაც უნდა გული გამიხმოსო" _ ხუმრობდა ჩემზე. დღეს ვემშვიდობები, ვემშვიდობები ჩემს როლეზის, ჩემს ძმას _ მშვიდობით ძმაო, იქ დამელოდე, ჩვენს სასაფლაოზე!

მაია სტურუა
მსახიობი

როლეზი მახსოვს მას შემდეგ, რაც 45 წლის წინ, მეცხრეკლასელი მოვიდა თეატრში. პირველივე როლის შესრულებიდან გახდა ნომერ პირველიდა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ბოლო წუთამდე დარჩა ნომერ პირველად. მე და როლეზს არა მხოლოდ თეატრი, ომიც გვაკავშირებდა ერთმანეთთან. ბუნებით ერთგული კაცი იყო, სანდო. მის გვერდით არ მოიწყენდი, ვერ მოიწყენდი. რა, პრობლემები არ ჰქონდა? რამდენიც გინდათ, როგორც სხვებს, მაგრამ საკუთარ გასაჭირს თავს არასდროს მოგახვევდა. გამიჭირდება მივეჩვიო, რომ როლეზი აღარ არის. კარგმა კაცმა დატოვა წუთისოფელი

რაფი შენგელია
მსახიობი

მახსოვს, წლების წინ როგორ შემოაბიჯა პატარა ბიჭმა კულტურის სახლში. გულში ჩავიკარით მისი ნიჭიერების გამო. მას შემდეგ არა მხოლოდ ჩვენ, მაყურებელმაც შეიყვარა. ერთხელ მითხარი, დედამ მითხრა, სამი დედა გყავს, ჟუჟუნა, მზია და მეო. ეს მართლაც ასე იყო, რადგან პირადი ურთიერთობების გარდა მე და ჟუჟუნა ნიკურაძეს წილად გვხვდა, რამდენჯერმე გვეთამაშა სპექტაკლებში მისი დედის როლი. ახლა მე და ჟუჟუნა მეგობრებთან კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან ერთად დავტირით როგორც დედები. გვჯერა, არც იმქვეყნად შეგვარცხვენს ჩვენი ვაჟკაცი, რომელიც მუდამ საკუთარი საქმის და ქვეყნის სადარაჯოზე იდგა. ნაადრევად დადუმდა მისი ხავერდოვანი, გამორჩეული ხმა, დადუმდა სითბოთი და სიყვარულით სავსე მისი გულისცემა. იტყოდა, "მზია სიტყვას ულექსოდ არ დაამთავრებსო" და მეც მინდა, გრიგოლ ჯულუხიძის ლექსით დავემშვიდობო:

"ყველანი წავალთ,
სათითაოდ გამოვიხურავთ სინათლის სარკმლებს,
სამარადჟამოდ მოვირთვებით, გავლამაზდებით
და ყველა წავალთ
აქ, აქ დარჩება ჩვენი ცრემლი და სიყვარული,
ბრაზი და ბოღმა, ლოცვა და შხამი, ჩვენი ტკივილი, ერთგულება
შიში და მტრობა...
აქ, აქ დარჩება ყველაფერი და ყველა წავალთ...

მზია ჩიხლაძე
მსახიობი

საშური საქმე

ამ ჩვენი "აღმოჩენის" გასაჯაროება-გახმოვანებისთვის ყველაზე უკეთეს საშუალებად, საქართველოში მცხოვრები ყველა წიგნიერი ადამიანისთვის საყვარელი და სანდო გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" მივიჩნიეთ. მოკავშირედ კი მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, პატივცემული ბატონი თამაზ წივწივაძე. კაცი, რომელსაც ცნობილი პოეტი თემურ ლანჩავა სხვა ილიად მოიხსენიებს და რომლის შესახებაც თვით ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა, რომ "აბა მე გეტყვით თქვენ, საქართველოში იშვიათად ნახავთ ასეთ ღვთის კაცს!.." ჰოდა, ფრიად და ერთობ "მოკრძალებული" პოეტი ოთო ხურცია, სცენაზე გამოსვლის თუ გამოჩენისა ასე რომ "ეშინია", მაგრამ ამით პოეტურ ნიჭს ხომ ვერ დამალავს? და ღმერთმა უშველოს, ჩვენც ძალიან დაგვეხმარა: "...თამაზს გავანდოთ ყოველი ნაფიქრალ-ნაოცნებარი". და კიდევ: "ის არის ჩვენი მედროშე, მესაყვირე და მოძღვარი, ენამეტყველი უებრო, მსაჯული გასაოცარი..."

მოვუსმინოთ ჩვენს თანამედროვე, ქართველოლოგიური ჰუმანიტარული მეცნიერების მთავარ საყრდენ ბურჯსა და ტონის მიმცემ აკადემიკოსს როინ მეტრეველს: "თუ XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია, ენის, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მებრძოლი, XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ერს თავდადებული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი უჩვენა. გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში არის პიროვნება, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზა, თავისი ძლიერი მხრებით ბურჯად შეუდგა დიდ წინაპართა საქმეებს; პიროვნება, რომელსაც არ აშინებს ტვირთის სიმძიმე, იმედად მოევლინა ერს, ძალისხმევას არ იშურებს ხალხის სამსახურისათვის, სიკეთესა და სითბოს ასხივებს და ათბობს ადამიანთა გულებს".

ჰოდა, ამ ყოვლისმომცველ და ყოვლისდამტევ ნაზრევს სულ ერთ წინადადებას დავამატებდით. ამიტომ მისი სულიერი შვილები ცოცხალ წმინდანად და აღმაშენებლად ვრაცხთ.

ახლა კი ჩვენი მთავარი სათქმელი: ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და ბატონ თამაზ წივწივაძეს ერთი დიდი საერთო მეგობარი ჰყავდათ _ ედუარდ გიორგი შევარდნაძე.

და კიდევ, ამ ურთიერთობაში მთავარი კი არა, რა თქმა უნდა, უმთავრესია ის, რომ ბატონი თამაზისთვის საქართველოს მწყემსმთავარი ხორცშესხმული ღმერთაცია!..

და ამ შეფასებას ყველა პატიოსანი და გონიერი ქართველი ეთანხმება. და რასაკვირველია იმასაც, რომ მისი უწმინდესობის აზრით, ბატონი თამაზ წივწივაძე ხანდახან ღმერთის პირითაც ლაპარაკობს!.. ამიტომ არის, რომ ბატონ თამაზს "კიდით კიდემდე" სრულიად საქართველოს მოსახლეობა ენდობა და ყველა გონივრულ, სახელმწიფოებრივ, მამულიშვილურ საქმეში მისი მხარდაჭერის იმედი აქვს (ჩვენი ღრმა რწმენით, საფუძვლიანადაც).

და აქედან გამომდინარე, ის აუცილებელი ლოცვა-კურთხევა, რომელსაც პრეზიდენტის პოსტზე თამაზ წივწივაძის მოსვლასთან დაკავშირებით ასე ელოდება გონიერი საქართველო, საჭირო დროს უეჭველად იქნება. და, ალბათ, ისეთივე ეფექტური, როგორიც ეს წლევანდელ გიორგობას, 23 ნოემბერს პატრიარქის თანამოსაყდრის დასახელებისას მოხდა...

ვსარგებლობთ ჩვენთვის ამ ბედნიერი შემთხვევით და აღსაყდრების მე-40 წლისთავს ვულოცავთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ღმერთს შევთხოვთ, რომ კიდევ დიდხანს და დიდხანს არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს, მისგან მომდინარე მადლი და ლოცვა-კურთხევა.

პატივცემულო მკითხველო, აქ ახლა წუთშესვენების უფლებით უნდა ვისარგებლოთ და პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, ის არის, რომ რაზეც აქ ვისაუბრებთ, მავანს მოეწონება თუ არა, ნამდვილად არაფერს ცვლის და დიდსაც არაფერს ნიშნავს.

ბატონი გია ჯოხთაბერიძის _ მისაბაძი, ქველი მამულიშვილის ხელდასხმით აღმართული არქიტექტურული შედევრი-გალერეა სრულყოფილების თვალხილული ნიმუში-ნაგებობაა, რომლის მაღალპროფესიული დონე განაპირობა ქართული არქიტექტურის მეტრის, ბატონი ვახტანგ დავითიას უზადო გემოვნებამ და ნიჭმა, ჩვენთვის საამაყო რუსთაველის გამზირის შენობა-ნაგებობების უმშვენიერეს ანსამბლში სრულიად ორგანულად ჩაჯდა.

რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში მოღვაწე ცნობილი ქართველი მოქანდაკე ბატონი ავთანდილ მჭედლიძის შეფასებით: "ისე ოსტატურად "ჩაჯდა" რუსთაველის პროსპექტის უაღრესად დახვეწილ "დეკორაციაში", თითქოს დროებით სადღაც "გასული" დიდი ხნის წინათ აშენებული ნაგებობა სამკვიდროზე მობრუნებულიყოს" (გაზ. "სრ", 1. XII. 2017 წ).

ჩვენი ქვეყნის ყველა სრულწლოვანი მოქალაქე იმ "გასაოცარი" პარადოქსებით დახუნძლულ XX საუკუნეში დავიბადეთ და აღვიზარდეთ. ამდენად, ყველას კარგად მოეხსნება, რომ იმ საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით განათლების, კულტურის, ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, კინემატოგრაფიის, ქართული თეატრის, ქართული პროფესიული მუსიკისა და ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სპორტის აღმავლობის წლებია.

და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს საფუძველი ეყრებოდა საქართველოს ინტერესების დაცვის სადარაჯოზე მდგომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

ყოველივე ამას ხელს უწყობდა საქართველოს მთავრობა და მისი მეთაური _ გასული საუკუნის ბოლოს მსოფლიოს გარდამქმნელი, დიდ პოლიტიკოს-არქიტექტორთა კოჰორტაში მყოფნი, მოგვიანებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოღვაწე, მსოფლიო რანგის ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს. მან თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომით დაასრულა, თუმცა, სასიცოცხლო ენერგიის რესურსმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკმაო დრო და ენერგია მისცა თავისი შესანიშნავი მემუარული წიგნებისა და საგაზეთო ინტერვიუების შესაქმნელად, რათა მათი მეოხებით კვლავაც დამოძღვროს დღევანდელი თუ მომავლის ქართველი პოლიტიკოსები.

პატივცემულო მკითხველო, დავუბრუნდეთ ახლა ბატონ ვახტანგ დავითაიას, სადაც იგი ამომწურავად აშუქებს ჩვენი სიამაყე რუსთაველის გამზირის შენობა-ნაგებობების სტილისტურ თავისებურებებს.

და ბოლოს, პატივცემულმა არქიტექტორმა ფრიად ერთობ მაღალ პროფესიულ-მხატვრული სტილით დაახასიათა "ჯოხთაბერიძის გალერეა!", რომელზეც წერს, **რომ "ჩვენს ექსკურსში არ არის "გოთური სტილი".**

აი ისიც...

და აი, აქ ჩვენ მივადექით ჩვენს მთავარ სათქმელს. ვამბობთ, რომ არაფერი დაშავდება კი არა, სწორედ რომ დროული და საჭიროა _ თბილისში გვაქვს საქართველოს მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტების საჩხელობის ქუჩები და ძეგლ-ბიუსტებიც...

ჰოდა, ამ მეგობრობის საფუძვლის ჩამყრელი რომ საქართველოს რიგით მეორე პრეზიდენტი, ცხონებული ედუარდ შევარდნაძეა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და, ზემოთ რომ 70-იანი წლების მეორე ნახევრის, 80-იანი წლების დასაწყისის საქართველოში ქართული კულტურის აღმავლობის მართლაც რომ გაბრწყინების ხანადაა მიჩნეული, ყოველივე ამაში მთავარი "დამნაშავის" და მასტიმულირებლის როლი ხომ მას ეკუთვნის და მის სახელს უკავშირდება? და აქედან გამომდინარე, თუ რასაკვირველია, ქართველებს მაღალი ღმერთი საბოლოოდ არ გაგვწყრომია, მაშინ, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ გალერეას უნდა ეწოდოს **ედუარდ შევარდნაძის სახელი.**

ვინაც, როგორც ქალბატონი რიტა ზიუსმუტი, გფრ ბუნდესთაგის თავმჯდომარე ბრძანებს, "საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროსაც სულის სიღრმეში ყოველთვის ქართველად რჩებოდა"... აკი, "... ბატონმა შევარდნაძემ დაამტკიცა, რომ ისტორიას მართლაც ქმნიან პიროვნებები და არა სოციალური და ეკონომიკური იმპერატივები" (რობერტ ბერდი, აშშ-ის სენატორი).

დიახ, შპს "მაგთმა" და კერძოდ კი ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ ნამდვილად დიდ მამულიშვილურ საქმეს დაადგეს თავი, აშკარაა, რომ გალერეა თავისი შინაარსით მსოფლიოს არც ერთ სახელგანთქმულ მუზეუმ-გალერეას არ ჩამოუვარდება. ამიტომ ნამდვილად უპრიანია, რომ მას თანამედროვე სამყაროს კონფიგურაციის შეცვლაში მონაწილე ერთადერთი განუმეორებელი ქართველი "არქიტექტორის" სახელი ეწოდოს.

ედუარდ გიორგი შევარდნაძის დაბადებიდან მოახლოებული 90-ე წლისთავის საიუბილეოდ ეს იქნება ჭეშმარიტად ქრისტიანული, ქართული და ადამიანური მადლიერების გამოხატვა და თანაც პოლიტიკურად, ეკონომიკურად უთუოდ გამართლებული და მომგებიანი საქმე.

პროფესორები: ისიდორე ჯანელიძე, ვენერა გოგავა, ვალერიან თევზაძე, ჯემალ კაზნიაშვილი, მიხეილ ამაღლობელი, მსახიობი მზია ჩიხლაძე, მწერალი გულნარა სტურუა, მსოფლიოს ორგზის გრან-პრის მფლობელი ვოკალისტი ალექსანდრე კრავეიშვილი, მუსიკის ჰედაგოგი ლუიზა ღვინიანიძე, ინჟინერი მზია ბალავაძე, ექიმი მარინა ხაჟომია, ბიოლოგი შორენა შენგელია, ეკონომისტი იამზე ქობულია, სტუდენტი შოთა პაპავა

“რაც მახსოვს”

ახლახან გამომცემლობა “ივერიონმა” გამოსცა და ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, ბატონი ვაჟა შუბლაძის წიგნი “რაც მახსოვს”.

წიგნი, რომელსაც სლოგანად ავტორისეული მრწამსი, “ყველგან და ყველაფერში ღირსებისადმი პატივისცემა” გასდევს, საინტერესოდ იკითხება. მასში მოკრძალებით, მაგრამ შთამბეჭდავადაა გადმოცემული ავტორის მიერ 70 წლის მანძილზე განვლილი ცხოვრების ცალკეული დეტალები.

ესაა წიგნი, რომელსაც აღმზრდელობითი დატვირთვაც აქვს. იგი განვლილი გზაა კაცისა, რომელშიც სრულადაა



განვითარებული ორგანიზატორული ნიჭი, პასუხისმგებლობა, პრინციპულობა, სიკეთის კეთება, სამშობლოს განუზომელი სიყვარული და ერთგულება. ჩვენთვის, სამტრედიელებისათვის საამაყოა, რომ წიგნის ავტორი ჩვენი თანამემამულეა. მისი ფუძეთა-ფუძე დიდი ჯიხაიშია. ავტორი, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით საუბრობს ქვეყნისა და ერის წინაშე ბაბუის, ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პროვიზორის, ბატონი ბარნაბა შუბლაძის, ბებიის, ქალბატონი დონიას, დედის, ქალბატონი თინასა და მამის, ბატონი დავითისა და მათი შთამომავლების შესახებ. ეცნობი რა ამ ადამიანების ცხოვრების წესს, რწმუნდები, რომ წიგნის ავტორში ესოდენ მრავლად არსებული დადებითი თვისებები, წინაპართა ოდითგანვე ჩადებული “კოდის” გაგრძელებაა.

გასული საუკუნის 40-იან წლებში შუბლაძეები საცხოვრებლად თბილისში გადადიან.

წიგნის ავტორი 1964 წელს ოქროს მედალზე ამთავრებს თბილისის 61-ე საშუალო სკოლას, ხოლო 1969 წელს _ წითელ დიპლომზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტს.

ავტორისადმი სიმპათია მკითხველს წიგნის პირველი გვერდების წაკითხვიდანვე უჩნდება, როცა იგებს, რომ მის ადრესატს სწავლის პერიოდში შეფასება ფრიადის გარდა სხვა ნიშანი არ მიუღია. რომ ზოგჯერ მოსწავლე მასწავლებელს, საგნის გადმოცემისას დაშვებულ შეცდომას უსწორებდა, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების შეფასებისას კომისიის თავმჯდომარეს აიძულებს, ოთხიანი შეფასება ფრიადით გაასწოროს.

სიტყვა “წარჩინებული” სკოლის მერხიდან წიგნის ავტორის მუდმივი გზამკვლევი და თანამგზავრი ხდება, რაზედაც სტუდენტობის მეგობარი, პროფესორი, ბატონი შალვა ნაჭყებია ბრძანებს: “პირველი კურსიდან გამოვლინდა მისი გამორჩეული ხელწერა, როგორც ცოდნისადმი სწრაფვის, ისევე საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის. მან თავიდანვე ნიჭიერთა შორის უნიჭიერესის სახელი მოიპოვა და ღირსეულად გახდა უმაღლესი სახელობითი სტიპენდიის მფლობელი და ფაკულტეტის განთავისუფლებული კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

წიგნში სპეციალური თავი ეძღვნება იმ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც სტუდენტობიდანვე ავტორსა და ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის, შემდგომში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და საქართველოს მთლიანობისთვის აფხაზეთში დაღუპულ ეროვნულ გმირს, ჟიული შარტავას შორის ჩამოყალიბებულა. შესანიშნავი ორგანიზატორი და ყოველმხრივ გამორჩეული _ ასე ახასიათებს იგი ჟიულის პიროვნებას.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი ვაჟა საქმიანობას თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში იწყებს. აქედან კი თბილისის კალინინის სახელობის რაიკომის ჯერ მეორე, შემდგომ კი პირველ მდივნად ნიშნავენ. სადაც, წარმატებულ პარტიულ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, მისი პიროვნება სრულად გამოვლინდა, როგორც შემოქმედი, სიახლეთა მაძიებელი, როცა სათანადო გაანგარიშებათა შედეგად, თბილისის აბრეშუმის საწარმოს მაგალითზე შეიმუშავა საქსოვ დაზგებზე ძაფის წყვეტილიანობის შემცირებისა და შესაბამისად, მათი მოცდენების მინიმუმამდე დაყვანის სისტემა.

გამოგონება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ლიდერისათვის აუცილებელი თვისებებით ბატონი ვაჟა, სრულიად საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობისას წარმოჩნდა, სადაც 8 წელი დაჰყო. მან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 75-მდე დელეგაციას უმასპინძლა, ხოლო თავად, დელეგაციათა ხელმძღვანელის რანგში, 35 ქვეყანას სტუმრობდა.

პირველი ოფიციალური ვიზიტი, როგორც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული დელეგაციის ხელმძღვანელის, ფინეთში შემდგარა, შედეგები საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დადებითად შეფასდა და მის ხელმძღვანელს მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად “მწვანე შუქი” აუნთეს.

1878 წელს, კუბის დედაქალაქ ჰავანაში ჩასატარებელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალზე, აფრიკის კონტინენტიდან 20 ქვეყნის 1200 მონაწილის კუბაში ჩაყვანის უზრუნველყოფას ფესტივალის ჩამტარებელი საერთაშორისო კომიტეტი ბატონ ვაჟას ანდობს. ეს იყო დიდი პასუხისმგებლობის შემცველი ნდობა-გამოცდა, რომელიც მის მიერ შედგენილი გონივრული პროგრამით წარმატებით დასრულდა.

ვაჟას პიროვნება, საქმიანი თვისებები ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღების მიღმა არ რჩება. 1981 წელს მას საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ნიშნავენ და დარგში არსებული ვითარების გამოსასწორებლად მიღწეული გარდაქმნების გატარებას ითხოვენ.

ღონისძიებებმა, რაზედაც წიგნში ვრცლადაა საუბარი, მალე სასურველი შედეგიც გამოიღო. საგრძნობლად იმატა მსოფლიოს, ევროპისა თუ ოლიმპიურ თამაშებში წარმატებულ ქართველ სპორტსმენთა რიცხვმა, ცალკეულ, სახელობით შეჯიბრებებში წარმატებულ სპორტსმენთა ოდენობამ.

წიგნში საუბარია და მოყვანილი მაგალითებითაა გამყარებული მსოფლიოს ქვეყნების სპორტული კავშირებისა თუ გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან, მათი გამოცდილებათა გადმოტანა-დანერგვისათვის აუცილებელ კავშირებსა და ავტორის პირად კონტაქტებზე.

1984 წელს საქართველოს სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ამერიკის კონტინენტის მილიარდელთა ათეულში შემავალი მექსიკელი მარიო ვასკეს რანია სტუმრობს. მის მაღალ, სახელმწიფოებრივ დონეზე მისაღებად სამთავრობო ღონისძიებები იგეგმება, ხოლო, როგორც სპორტკომიტეტის უშუალო სტუმარი, კომიტეტის თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, მასპინძლობაზე პასუხისმგებლობა ბატონ ვაჟას დაეკისრა. სპეციალური პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრებით, მასში დასმულ საკითხთა აქტუალობით, მათ გადასაწყეტად მასპინძლის სწორი ხედვითა და ქართული, ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობით მოხიბლულ სტუმარს გამგზავრების წინ ვაჟასთვის ისიც კი უთქვამს: “მსოფლიოს 85 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და რაც აქ ვნახე და ვიხილე, მსგავსი დადებითი განწყობა არც ერთ ქვეყანაში არ განმიცდია, ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენს პიროვნებას მექსიკაში ვიხილავ”. მოხდა ისე, რომ მომდევნო წელს მექსიკის საკურორტო ქალაქ აკაპულკაში გასამართ წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, ვაჟას ხელმძღვანელობით, ქართველი სპორტსმენები მიავლინეს. მარშრუტი, მექსიკის დედაქალაქის, მეხიკოს გავლას ითვალისწინებდა. ქვეყნის ოლიმპიური ცენტრის ხელმძღვანელობის უყურადღებობით და არა სათანადო მიღებით განაწყენებული ვაჟა იძულებულია, ოლიმპიური ცენტრიდან მარიო ვასკესს დაუკავშირდეს.

ამონარიდი წიგნიდან: “ცოტა ხანში გაისმა სირენების ხმა. ეზოში მოტოციკლისტთა ექსკორტის თანხლებით საკუთარი მანქანის საჭესთან მჯდომი მარიო შემოვიდა. გადამეხვია, გადამკოცნა, გულწრფელად მომიკითხა. ყველა საკითხი სასწრაფოდ გადამიწყვიტა. დელეგაციის წევრები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში განათავსეს. ჩემი ფაქსიმილია დააფიქსირეს და მექსიკის ბანკებში აკრედიტივი გამიხსნეს თანხის განუსაზღვრელი ოდენობით გამოტანის უფლებით (ცხადია, უფლება ბოროტად არ გამომიყენებია). გამომიყო მილიონი პესო, რაც მე დელეგაციის წევრებს გადავუნაწილე. გამოყო თვითმფრინავი აკაპულკოში გადასაფრენად, იქ მომსახურე ავტობუსი მოგვამგრა. შეჯიბრებაც, ჩვენი უკეთ დასვენების მიზნით, ერთი დღით გადაადებინა. იმავე დღესვე თავის რეზიდენციაში ფანტასტიკური შეხვედრა მოგვიწყო, საჩუქრებიც გულუხვად დაგვირიგა. იმაზე წუხდა, რომ, კორეაში საქმიანი ვიზიტის გამო, ამ დღეებში ჩვენთან ერთად ვერ იქნებოდა. ერთმანეთს ძმურად დავშორდით”.

1988 წელს, ბატონი ვაჟა, სისტემის რეორგანიზაციის შედეგად, ახლად შექმნილი სპორტული გაერთიანებული საზოგადოების თავმჯდომარედ ინიშნება. აქედან კი, ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების გამო, ჯერ გაერთიანებული პროფესიული კავშირები, თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოს კანცელარიის უფროსის მოადგილედ ნიშნავენ, სადაც ახალი ხელისუფლების რიგ ხელმძღვანელ პირთა მიერ კანონთან შეუსაბამო ქმედებების უშუალო თვითმხილველი ხდება. მრავალთა შორის, სახელ _ მწიფო ინსტიტუტებიდან გამომდინარე, უარს ამბობს ფოთის პორტის პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ერთპიროვნულად მიღებული დოკუმენტაციის კანცელარიაში რეგისტრაციაზე. თანამდებობას ტოვებს, რადგან მისთვის “პრინციპულად მიუღებელი იყო იმ ხალხთან თანამშრომლობა, რომლებმაც თანამოქალაქეთა სისხლი დაღვარეს, ნახევარი თბილისის დანგრევის ფასად თანამდებობები მოიპოვეს.

უმუშევრად დიდხანს არ ტოვებენ. სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის თხოვნით, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობს და ფაქტობრივად, არარსებული დარგის ხელმძღვანელი ხდება.

მოხდა ის, რისი იმედიც ჰქონდა. ფედერაციის ირგვლივ კვლავ შეიკრიბნენ სპორტის ამ სახეობის ქომაგნი. აქტიურ სპორტს დაუბრუნდნენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები: ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე. მსოფლიოში აღიარებული ქალი მოჭადრაკეები: ნანა ალექსადნია, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და სხვანი.

განახლდა ასაკობრივი სექციების საქმიანობა, შეკეთდა იავარქმნილი ჭადრაკის სასახლე, რომელშიც მანამ მხედრიონელთა შტაბი იყო განთავსებული. სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა. ქალ მოჭადრაკეთა გუნდი ორჯერ, ზედიზედ, (მოსკოვი, ერევანი. 1994, 1996 წლები) მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი ხდება, ხოლო ვაჟები არსებობის მანძილზე პირველად, მსოფლიო ათეულში ხვდებიან და მე-8, მე-6 ადგილებზე გადიან.

ყოველდღიურად იზრდება სხვადასხვა სახელობით ტურნირებში მოპოვებული მედლების რეალობა, ოსტატთა და დიდოსტატთა რიცხვი.

ბატონი ვაჟას დაჟინებული თხოვნით, “ფიდე” გამონაკლისის სახით, შვეიცარიაში ჩატარებულ მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილე 10 გუნდს შორის, როგორც მსოფლიოს ჩემპიონების საქართველოს ქალთა გუნდის მონაწილეობაზე თანხმდება, სადაც მოპოვებული მე-6 ადგილით ისინი ჭადრაკის ისტორიაში მსოფლიო სენსაციას ახდენენ. მოპოვებულ წარმატებათა ფონზე წიგნის ავტორს უჩნდება იდეა, მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვებულ ვაჟთა და ქალთა გუნდებისათვის დაწესებული რასელისა და მენჩიკის გარდამავალი თასების მაგალითზე, სუპერ თასის შექმნის და მისი იმ ქვეყნის გუნდებისათვის მინიჭებაზე, რომლებიც, ჯამური შედეგით, ყველაზე მეტ ქულას დააგროვებდა. ჩანაფიქრს ქვეტექსტიც ჰქონდა, თასის საქართველოში დამზადებისა და მისთვის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. იდეამ საერთო მოწონება დაიმსახურა, მაგრამ “ფიდეს” კონგრესის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა, მოქმედი სპორტსმენის სიცოცხლეშივე სახელის მინიჭებისაგან თავი შეიკავა და საკითხის განხილვის გადაღება ითხოვა. ამის გამო იდეის ავტორს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ, ჭადრაკში მსოფლიოს ფავორიტი ქვეყნების მიერ მომავლისათვის მათი წარმომადგენლის სასარგებლოდ საკითხის დაყენების უფლების შეზღუდვის მიზნით, კატეგორიულად მოითხოვა სხდომის ოქმში ჩანაწერის გაკეთება: საკითხის განხილვა გადაიდოს მომავლისათვის მასზე ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების აუცილებელი პირობით”.

ეს იყო სწორედ გაზრებული ტაქტიკური სვლა, რომელსაც აუცილებლად “შამათი” უნდა მოჰყოლოდა. ასეთ შემთხვევაში მოჭადრაკეები პარტიას მომავლისათვის არ დებენ. წინადადების პირველი ვარიანტი მიღებული იქნა ერთხმად. ეს იყო საჭადრაკო სამყაროს მიერ ქართული საჭადრაკო სკოლის უდიდესი აღიარება, რომელსაც თავად ქალბატონმა ნონამ “დიდი გარღვევა” უწოდა.

1988 წელს საჭადრაკო ფედერაციის მორიგ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე, ვაჟას პრეზიდენტად ხელახლა არჩევაში, ვაჟთა გუნდის ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი დაუპირისპირდა. საჭადრაკო სამყაროში ქართული ჭადრაკის უდიდესი ავტორიტეტის შელახვის, მომავალში მოჭადრაკეთა შორის ურთიერთმტრობისა და შუღლის აცილების მიზნით, იგი არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. მოსახდენი მაინც მოხდა. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა დელეგატთა ნაწილმა, მათ შორის ქალთა გუნდის მთლიანმა შემადგენლობამ ყრილობა დატოვა. დარჩა აუსრულებელი ოცნება, მისი ჩაფიქრებული ესკიზით დამზადებული სუპერ თასის საქართველოში ხილვის თაობაზე, რაც ფედერაციის თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში აუცილებლად მოხდებოდა. იმავე წელს ჭადრაკის აღმავლობა-განვითარების საქმეში შეტანილი უაღრესად დიდი წვლილისათვის ბატონ ვაჟას, დაუსწრებლად, მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციის საპატიო წევრად ირჩევენ.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ვაჟას, უშუალოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეობას სთავაზობს, რითაც ის, ისევ მის ამპლუაშია რადგან მისგან ძიება, შენება, სიძნელეებთან ჭიდილი, არავის უკვირს.

პირველი რაც გაკეთდა, პრეზიდენტის ბრძანებით დარგს ქვეყნის კურორტების სამმართველოც დაუქვემდებარეს და მას “ტურიზმის და კურორტების მართვის დეპარტამენტი” ეწოდა. ტურიზმის ბიზნესის განვითარებისათვის წინა პლანზე წამოიწია ქვეყანაში სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების აუცილებლობის საკითხი.

მალე ტურიზმის სფეროში საქართველო მსოფლიოსათვის ერთ-ერთი საინტერესო და მიმზიდველი ქვეყანა ხდება, იმდენად, რომ თბილისში “დსთს” ქვეყნების ტურიზმის საბჭოს სხდომა, ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა (შემდგომში ტრადიციული). მსოფლიოს 50 ქვეყნის მონაწილეობით მსოფლიოს “აბრეშუმის გზის” ფორუმიც იმართება. ერთ წელიწადში ბატონ ვაჟას “დსთს” ქვეყნების ტურისტული საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ, რითაც 12 ხმის კონტროლის უფლებით იგი მსოფლიოს ტურისტული ქვეყნებისთვის ანგარიშგასაწევი პიროვნება ხდება.

წარმატებები, მიღწევები იმდენად ნათელი გახდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ერთ-ერთ გამოსვლისას ბრძანებს: “ტურიზმის დეპარტამენტი ისე აქტიურად შეუდგა საქმიანობას, რომ სისტემას ვეღარ ვცნობთ”. ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ ჭითანავა, ვაჟას ქვეყანაში “ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ფუძემდებლად” მოიხსენიებს. კვლავ “ამუშავდა” ნაცადი მეთოდი დარგის ხელმძღვანელებთან, პირადი, მეგობრული კონტაქტების დამყარების აუცილებლობაზე. შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, ფრანჩესკო ჯოლისთან, “დსთს” ქვეყნების ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარესთან (რომელიც ვაჟათი ჩაანაცვლეს), სერგეი შასილკოსთან, ისრაელის ტურიზმის მინისტრ მოშე კაცავთან და სხვებთან. საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვან მეგობრობასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე მოშე კაცავის ხელმძღვანელობით ქვეყანას ისრაელის 40 კაციანი დელეგაცია სტუმრობს, რომელმაც მთელი საქართველო მოიარა (მათ შორის დაბა კულაშიც). გამოსათხოვარი ვახშამი მცხეთაში იმართება. ნანახითა და განცდილით აღფრთოვანებული კაცავი, სამადლობელი სიტყვის ბოლოს იუმორით ბრძანებს: “26 საუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე უდავოა, რომ ჩვენი წინაპრები სარეცელსაც კი იყოფდნენ, რა დროსაც ეჭვი არ მეპარება, რომ მამაკაცი ებრაელი იყო”. მიუხედავად იმისა, რომ ნათქვამს მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარე სუფრის წევრთა საერთო მხიარულება გამოუწვევია, მასზე რეაგირება ვაჟას საპასუხო გამოსვლაზე იყო დამოკიდებული: რომელმაც შესავალი სამადლობელი სიტყვის შემდეგ სტუმარს ებრაელთა წესი შეახსენა, რომლის მიხედვით, ებრაელად ითვლება ის, ვისაც დედა ჰყავს ებრაელი და დასძინა: “მე კი სრულად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი პირიქით იყო, სხვა შემთხვევაში, თქვენ ებრაელები ვერ იქნებოდით და ვერც გამრვალდებოდით”. ჭადრაკის ენაზე ეს იყო “ბლიც-ტურნირში” მიღწეული “შამათი”, რომელსაც მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ტაშით შეხვედრია. კაცავს სრული მარცხი უღიარებია და “კაპიტულაციის” ნიშნად ვაჟას ძმურად

გადახვევია.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ბატონი ვაჟა უარს ამბობს მინისტრის ტოლფასი თანამდებობის დაკავებაზე, როცა ქვეყნის პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, მასთან პირისპირ გასაუბრების შემდეგ, სათანადო არგუმენტების მოშველიებით, გადაათქმევინა აზრი, სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტების გაერთიანებაზე და მის ხელმძღვანელად მისი პიროვნების წარდგენაზე. "სასურველი შედეგი არ მოყვებოდა. ამით ორივე დარგი დაზარალდებოდა"-ო, ბრძანებს. ე. წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მთავრობაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსულ რიგ პიროვნებებთან, ადრე არსებული შეუთავსებლობათა გამო, იგი თანამდებობიდან მიდის. როცა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა წამოაყენა იდეა, 2014 წელს, ბორჯომსა და ბაკურიანში მსოფლიოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად საქართველოს აპლიკანტ ქვეყნად გამოცხადების თაობაზე, საგანაცხადო პროექტის მოსამზადებლად ბატონი ვაჟა მიიწვია, რომელმაც შესაბამისი საფინანსო გათვლებით, პროექტის მომზადება მოცემული დროისათვის სრულად უზრუნველყო. ბატონი ბადრი რწმუნდება რა მისი, როგორც ნიჭიერი პიროვნების შესაძლებლობებში, მას საქართველოს ოლიმპიური ეროვნული კომიტეტის მენეჯერობას სთავაზობს. ბადრის ირგვლივ განვითარებული ცნობილი მოვლენები, რომ არა მათი გარჯა, ქვეყნას ბევრ სიკეთეს მოუტანდა.

წიგნის ავტორი იმ დიდი სიხარულისა და სიამაყის განცდაზეც საუბრობს, რომელიც მან, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის მთავარ ექსპერტად მუშაობისას იაპონიაში, მსოფლიოს ოლიმპიადაზე განიცადა, როცა საქართველოში დამზადებული თასი საპატიო ადგილზე გამოფენილი იხილა. თუ არა ბოლო დროს დასაქმებიდან დასაქმებამდე წარმოქმნილი ერთგვარ "ტაიმ-აუტები", წიგნის ავტორი, ალბათ, საკუთარი თავისთვის ვერ მოიცლიდა. 2005 წელს იგი თემაზე, "საქართველოს ტურიზმის მიკროეკონომიკური რეგალიების მექანიზმი _ სიღარიბის დაძლევის კონტექსტი" სადოქტორო დისერტაციას იცავს. იმავე წელს საინჟინრო აკადემიის აკადემიოსადაც ირჩევენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის განხრით ლექციებსაც კითხულობს, სამეგობრო წრესაც არ ივიწყებს და სამეგობროს მიერ დაწესებულ "კაცობის, მეგობრობის ორდენითაც ჯილდოვდება".

წიგნში, როცა ოჯახის შესახებ მისი ატორის და სამეგობროს გამონათქვამებსაც ეცნობი, ერთ დასკვნამდე მიდიხარ, გამოთქმა: "ფერი ფერსა და მადლი ღმერთსო", ბატონ ვაჟასა და მის შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ანინეს სრულად მიესადაგება. თავად ავტორი ოჯახს მის ყველაზე დიდ სიმდიდრედ მოიხსენიებს და მის წარმატებებში მეუღლის უდიდეს დამსახურებაზე, იმ დიდ სითბოსა და ყურადღებაზე საუბრობს, რასაც იგი საახლობლოს მიმართ იჩენდა და იჩენს. სამეგობროც, ქალბატონ ანინეს, მათ დედოფლად აღიარებს, მთლიანად ოჯახს კი ნიჭიერების ბუდედ და სილამაზის ეტალონად. შვილებიდან სოფო საქართველოში ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის დამაარსებელი და დამფუძნებელია. ნინო წლების მანძილზე "რუსთავი 2-ის" გენერალური დირექტორის მოადგილე იყო და თანამდებობა მისი სურვილით დატოვა, ამჟამად კი სატელევიზიო არხის, "პირველის" თანამშრომელია.

ნიჭიერებით გამორჩეულნი არიან შვილიშვილები: ნიკო, ანო და გიო. იმედია, გენში ჩადებული "კოდი" თავის გაგრძელებას ჰპოვებს და ისინიც ჩვენი ქვეყნის სახელოვან და საამაყო ადამიანებად დაიზრდებიან.

ვინც წიგნის ავტორს, ბატონ ვაჟას პირადად იცნობს, დამეთანხმება, რომ, 70 წლის ასაკის მიუხედავად, იგი მართლაც "შესანიშნავ ფორმაშია" და გონიერი კადრების დეფიციტის მქონე ჩვენს ქვეყანას, მისი რჩევა-დარიგება დღესაც მალამოდ წაადგება.

P.S. წერილის საკმაო მოცულობის მიუხედავად, მაინც უკმარისობის განცდა დამყვება, რომ მკითხველს ბატონი ვაჟას პიროვნება სრულად ვერ წარვუდგინე, როგორც პროფესიონალი, პრინციპული და მიზანდასახული პიროვნება, შეჭირვებულთა თანამდგომი, ქველმოქმედი, კარგი იუმორის მქონე, კარგი თამადა და, რაც მთავარია, ქართული ადათ-წესებისა და ტრადიციების მატარებელი. პიროვნება, რომელსაც "სხვისი გაბედნიერების ნიჭი და უნარი ღმერთმა უბოძა".

ყოველივე ეს რულად რომ გაითავისოს მკითხველმა ვურჩევ" ისარგებლოს რაიონის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკის, იმ ერთ-ერთი ეგზემპლარით, რომელიც ავტორმა სამტრედიელ წიგნის მოყვარულთ გვისახსოვრა.

ბერის ფოფხაძვილი

ჩვენი "ჯახუტუნია ბაბუ"

გვაგონდება ფოტოგრაფების პატარა ჯიხური, რომელიც კულტურისა და დასვენების პარკში იდგა, სადაც მუშაობდნენ ფოტოგრაფები **სიმონ ჩიქობავა და ლადო ძიძიგური.**

ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი კარგი მეგობრებიც იყვნენ.



სიმონ ჩიქობავა გახლდათ დაბალი, თმაჭაღარა, ბუჩუნა კაცი, რომელიც ტკბილი სიტყვების გარდა სიტყვას არავისთვის გაიმეტებდა. ის იყო კეთილი, თბილი, განათლებული, ფლობდა 3 ენას. 5 წელი ირანში ცხოვრობდა მეუღლესთან, შუშანა მაქაცარია-ჩიქობავასთან ერთად. ისინი იყვნენ ჩვენი გამზრდელი ბებია და ბაბუა.

ბაბუას ფოტოატელიე ყოველთვის სავსე იყო ახალგაზრდებით, განსაკუთრებით ჯარში წამსვლელებით, რომლებსაც ბაბუა არა მარტო უფასოდ უღებდა სურათებს, არამედ ასაჩუქრებდა კიდეც.

ბაბუა სულ სიტყვა "ჯახუტუნიას" ხმარობდა, რის გამოც მას "ჯახუტუნია ბაბუ" შეარქვეს.

ამ ხნის კაცს სალამს ვერავინ მოასწრებდა. სიკეთისთვის და სიყვარულისთვის ბევრი ახალგაზრდა დაუნათესავდა, ზოგმა თავი მოანათვლინა, ზოგმა შვილი.

სიმონ ბაბუა იყო მოსახლეობის დახმარების ფონდის წევრი და ყოველთვიურად ამ ფონდში რიცხავდა გარკვეულ თანხას. მიღებული ჰქონდა ბევრი სიგელი და ჯილდო.

სიმონ ჩიქობავამ 92 წელი იცოცხლა და ბოლომდე დარჩა ყველასთვის თბილ და ტკბილ კაცად, "ჯახუტუნია ბაბუდ", რომლის სალამი დააკლდა ქალაქს.

ფეიერა და ელა ჩიქობავები

ვენერა და რობიზონ დვალების გახსენება

რაც დრო გადის, უფრო მძიმე და გაუსაძლისია უთქვენობა. იმ დღეებს ვნატრობთ, ერთად რომ ვიყავით. ნათელში იყავით ჩვენო ძვირფასებო. არასოდეს დაგივიწყებთ.

გვახსოვხართ, გვიყვარხართ.

ია ფეზე, დარეჯანი

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები ოჯახით დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ნიჭიერი მსახიობისა და რეჟისორის, ღირსეული თანამოქალაქისა და ოჯახის თავკაცის

როლეზ გოგიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ჭირისუფლებს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

ერმალო ვაშაკიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მაყვალა ჩირგაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ერმალო ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ვეფხია ნადირაძეს

დეიდის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ვეფხია ნადირაძეს

დეიდის

გარდაცვალების გამო.

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაუგრძნობს ვეფხია ნადირაძეს

დეიდის

გარდაცვალების გამო.

ედემ ბოლქვაძე საქართველოს ჩემპიონია

23 წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში სამტრედიელი ედემ ბოლქვაძისთვის წარმატებული აღმოჩნდა. 19-20-21 იანვარს ქალაქ ქუთაისში, სპორტის სასახლეში გაიმართა ჩემპიონატი, რომელშიც მთელი საქართველოს მასშტაბით თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ასპარეზობდნენ.

23 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის იყო სამტრედიელი ედემ ბოლქვაძე, რომელმაც 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა, 4 შეხვედრა მოიგო და ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორს, ირაკლი მელაშვილს და ქუთაისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე კომენტარი სთხოვა: "იანვრის მეორე ნახევარში ქუთაისში თავისუფალი სტილით მოჭიდავეების ასპარეზობა, ზოგადად, წარმატებული გამოდგა სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანისათვის". მასში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სპორტსმენებმა: 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში დემურ მეგენეიშვილმა, 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში შმაგი თოდუამ. დემურმა საბოლოოდ მეორე ადგილი აიღო, მან ფინალური შეხვედრა დათმო, მანამდე კი სამი შეხვედრა მოგებული ჰქონდა.

შმაგი თოდუამ 4 შეხვედრა მოიგო, ერთი დათმო და მე-3 ადგილიც დაიკავა. სამტრედიიდან საქართველოს ჩემპიონატში ასევე ასპარეზობდა ივერი ჯულაყიძე, 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან მე-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ედემ ბოლქვაძის ჩემპიონობამ მთელი მუნიციპალიტეტი გაახარა, განსაკუთრებით კი ჩვენ, საჭიდაო კლუბი "ფალავანი". ედემმა საქართველოს ჩემპიონობის შედეგად ასევე მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური, რომელიც გაიმართება თურქეთში, ქალაქ სტამბულში. 2018 წლის 5-10 ივნისს ედემ ბოლქვაძე საქართველოს ღირსების დასაცავად იასპარეზებს. მინდა, ვისრაგებლო შემთხვევით და ედემ ბოლქვაძის, დემურ მეგენეიშვილის, შმაგი თოდუას და ივერი ჯულაყიძის მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილს, ვეფხია სტურუას, ლაშა სტურუას და ზაზა არქანიას მივულოცო თავიანთი ფალავნების ღირსეული ასპარეზობა და წარმატება".

ნინო ნანიტაშვილი

თასი იმპერატორის გაქვს
და საკვებიც ერთი ტონა,
ახლა ჭამე, არ გაჩერდე,
მოიმატო უნდა წონა!

6 წლის ლუკა რუხაძემ ჭადრაკში იმერეთის ჩემპიონობა

დამთავრდა იმერეთის ჩემპიონატი ჭადრაკში 7, 10 და 14 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. შეჯიბრება გაიმართა ქალაქ ქუთაისში, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.

ბრწყინვალედ იასპარეზა სამტრედიის კომპლექსური, სპორტული სკოლის (დირექტორი ი. კილტავა) მოსწავლემ 6 წლის ლუკა რუხაძემ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა). მან 9 ტურიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და იმერეთის ჩემპიონი გახდა 7 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პატარა ლუკამ დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და ქულანახევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მოჭადრაკეს.

ნიჭიერმა ბიჭუნამ ღირსეულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის საგზური. იგი აპრილში გაემგზავრება ქალაქ თბილისში საქართველოს პირველობაზე 7 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის.

დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი _ ლუკა რუხაძე! იგი დაჯილდოვებულია ბუნებრივი ნიჭით. მის დაოსტატებაზე კი მუხლჩაუხრელად ზრუნავს კვალიფიციური მწვრთნელი ბატონი ბესო ლეჟავა, რომელსაც არაერთი ჩემპიონი გაუზრდია.

კვლავ ღირსეული გამარჯვება და საქართველოს ჩემპიონობა ვუსურვოთ ნიჭიერ, პატარა მოჭადრაკეს!

გულიკო გოგიტიძე
ფაზისის აკადემიის წევრი, ჟურნალისტი

ვულოცავთ!

ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გმეგზურობდეთ უფალი!

"სამტრედიის მაცნე"

ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი. წარმატებებს გისურვებთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წინსვლას, წარმატებებს გისურვებთ თქვენთვის და თითოეული ჩვენგანისთვის საყვარელი სამტრედიის საკეთილდღეოდ.

საზოგადოება "სამტრედიელი"

ბატონ ბორის კახიანს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

თუმც მეგობარია სიმრავლე...

რად მინდა დაფი, ნაღარა,
თუ გულს სიმღერა სწყურია,
არც დიდი ნადიმ, ღრეობა,
სუფრაცა მყოფნის ძმურია.
არც მინდა ხოდაბუნები,
გულს არ ვაღორებ, ცხადია,
ორი დღიურიც მეყოფა,
თუ მარჯვენს შრომა სწადია.
არც მინდა სრა-სასახლენი,
ოდაცა მყოფნის მზიანი.
ეზოში მოლი ხასხასა,
ვარდის კოკორი ცვრიანი.
არც მინდა დიდი ბუხარი,
მზის სხივი მათბობს, თაკარა
არც მინდა ღვინო ქვევრებით,
წყაროცა მყოფნის ანკარა.
უზომო სიხარულისთვის
იაცა მყოფნის პატარა.
იმ ჩიტის ტკბილი ჭიკჭიკიც,
განთიადი რომ მახარა.
მცირედით ვკმაყოფილდები,
ბევრს არას ვითხოვ, ცხადია.
თუმც მეგობართა სიმრავლე,
სულით და გულით მწადია.

***

ნატვრის თუალ მინდა ისეთი,
სალი კლდე გაეპობინოს.
მე ჩემი ჩემად მარგუნოს,
სხვისას არ წაეპოტინოს.
იქ ჩემთა ძმათა გულების
გასაღებ მოეძებნინოს.
გულს შეპარული სიცივე
სითბოთი ენაცვლებინოს.
ის ორთა გულთა შორისი,
ბარიერ აეღებინოს.
ყინულჩამდგარი ლაჟვარდი,
მზის სხივით აევსებინოს.
წარსული კვნესა ვაება,
ტკბილ ჰანგებს შეაცვლევინოს,
რაიცა ძალამ ვერ შესძლო,
სიყვარულს შეაძლებინოს.
ნატვრის თვალ მინდა ისეთი...

მარინა გოგაძე

რედაქციის მისამართი:
საქართველო, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა